



# ახალი განათლება

№37 (511) გათვალისწინებულია 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

## გაია მიმინოშვილი: „ნაც ერთი მოსწავლე არ გავაყვამ ნიისთვის, რომ სავალდებულო სამსახურში საბაზისო სოფლია არ ჰქონდეს“

გვერდი 2-3



საინტერესო

### დღევანდელი მოსახლე გაცოცხლებული ნიმუშია გვერდი 4

ინტერვიუ რეპორტაჟი

### მოზივასიისა და ნიჭიერების საუკეთესო შედეგი გვერდი 5

საუბრაზე გიგანტობა

### პირადი გვერდი 9

## მკითხველთა საყურადღებოდ!

1 დეკემბრიდან  
„ახალი განათლების“  
შექმნა შესაძლებელია  
„უაიდ დისტრიბუშენის“ პრესის გავრცელების  
ჯიხურებში, თბილისსა და  
საქართველოს რეგიონებში.

„ახალი განათლების“  
ხელმოწერა 2011 წლის  
ხელმოწერის თანხა – 40 ლარი  
უნდა გადმოიტანოს ჩვენს რეკვიზიტებზე:  
საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი  
ს/კ 202 058 735; ბ/კ 220 101 502; ა/ა 123 631 000

## სიახლე!


### გაზეთი „ახალი განათლება“ და „გაპურ სულააკაურის გამომცემლობა“

გთავაზობთ  
მოძველ ხუთშაბათს  
„უაიდ დისტრიბუშენის“ პრესის  
გავრცელების ჯიხურებში  
გაზეთ „ახალ განათლებასთან“  
ერთად

### დათო ტურაშვილის ახალ რომანს „ამერიკული ზღაპრები“ ემსკლუზიურ ფასად.

\*\*\*

„ამერიკული ზღაპრები“ დათო ტურაშვილის მეთორმეტე წიგნია, რომელიც იმ შორეული ქვეყნის შესახებ მოგვითხრობს, სადაც მან ასი დღე გაატარა საერთაშორისო ლიტერატურული პროგრამით. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი ერთი შეხედვით დოკუმენტურ მასალაზეა აგებული, მასში მხელი გასარჩევია, სად მთავრდება რეალობა და იწყება გამონათქვამი, ამიტომ „ამერიკული ზღაპრები“ ერთდროულად მცირე რომანიცაა და ზღაპრით მოყოლილი ისტორიაც, რადგან, ავტორის თქმით, ამერიკაში ზღაპარსა და რეალობას შორის ზღვარი თითქმის არ არსებობს.



## „ეს ჩემი ძაა, გადასწრული ქუდავის ძა!“

### ილიზა ყიფიანი 1924-1972

გვერდი 6-7

# „არც ერთი მოსწავლე არ მიმტობს იმისთვის, რომ სავალდებულო საბნებში საბაზისო ცოდნა არ ჰქონდეს“

პირველი გვერდიდან

– სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საშუალო განათლების საფეხურზე ახალი სავალდებულო სისტემა შემოვიღოთ და ყველა მოსწავლემ ატესტაციის მისაღებად 8 სავალდებულო გამოცდა ჩააბაროს. საუბარია ძირითად საგნებზე: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ისტორია, გეოგრაფია და ერთ-ერთი უცხო ენა. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო გეგმით სავალდებულოა ორი უცხო ენის სწავლება, არსებული რეალობიდან გამომდინარე (რეგიონებში, მაღალმთიან სოფლებში უცხო ენის მასწავლებლების ნაკლებობა) გადაწყდა, რომ მხოლოდ ერთ უცხო ენაში ჩავატაროთ გამოსაშვები გამოცდა. როდესაც პრეზიდენტმა ამ გადაწყვეტილების შესახებ 2010 წლის იანვარში გამოაცხადა, ჩვენ ძალიან სერიოზულად დავიწყეთ მზადება. მოლოდინი ამ ორგანიზაციის მიმართ არის შემდეგი, რომ მოვამზადოთ და დავენერგოთ ერთიანი ეროვნული გამოცდების ანალოგიური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ სამართლიანობას, ობიექტურობას, გამჭვირვალობას და ა. შ. ლოჯისტიკის თვალსაზრისით ისეთი სისტემით, როგორც არის ერთიანი ეროვნული გამოცდებზე, გამოსაშვები გამოცდები შეუძლებელია ჩატარდეს. მოგესვენებათ, ერთიანი ეროვნული გამოცდების შემთხვევაში ჩვენ გვაქვს 15 საგამოცდო ცენტრი, სადაც გამოცდის ჩასაბარებლად ვინცევი აბიტურიენტებს. ბუნებრივია, მეთორმეტეკლასელებს, ჩვენ ვერ ვაძიებთ სავალდებულო ცენტრებში გამოცხადებას, რადგან ამ შემთხვევაში, დაახლოებით, ორი კვირის განმავლობაში მათ მოუწევთ ან სავალდებულო ქალაქში ცხოვრება, ან ყოველ დღე გამოცდაზე სიარული. ჩნდება ტრანსპორტირების პრობლემა, ყველა ოჯახს არ შეუძლია ფინანსურად უზრუნველყოს ბავშვის დროებით სხვა ადგილას ცხოვრება. აქედან გამომდინარე, ერთადერთი შესაძლებლობა, რომ სავალდებულო სისტემა მაქსიმალურად ეფექტური და ამავე დროს კომფორტული ყოფილიყო, ჩვენი მოსწავლეებისთვის, სკოლების გამოყენება გადაწყვიტეთ. მოსწავლე ჩააბარებს ამ გამოცდებს სკოლიდან გაუსვლელად. ეს ბუნებრივია, მოსწავლეებისთვის ძალიან კარგია, რადგან მოგესვენებათ ყველა გამოცდა გარკვეულ სტრესთან და ემოციებთან არის დაკავშირებული. მით უმეტეს, როდესაც გამოცდის ჩაბარება მოსწავლეს უწევს უცხო გარემოში. ამ შემთხვევაში მე-12 კლასელები ნაცნობ გარემოში ჩააბარებენ გამოცდებს, რითაც სტრესული ვითარება შესაძლოა რომ მოეხსნათ. მეორე მხრივ, სირთულეს წარმოადგენს ის, რომ საქართველოში 2200-ზე მეტი სკოლა გვაქვს და თუ 15 საგამოცდო ცენტრის გაკონტროლება შესაძლებელია, 2200 სკოლაში ანალოგიური პრინციპით გამოცდის ჩატარება, შეუძლებელი იქნებოდა. ვგულისხმობ იმ ფორმატით, როგორც ვატარებ

2011 წელს გამოცდების ეროვნული ცენტრი საათისტატო გამოცდებს ატარებს. მეთორმეტეკლასელთა გამოცდების ჩასატარებლად CAT-ის ტიპის საბამოცდო სისტემა შეიქმნა. რას არის COMPUTER ADAPTIVE TESTING და როგორ ჩატარდება საათისტატო გამოცდები? ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვებს გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი პასუხობს.

რებთ ერთიანი ეროვნული გამოცდებს – ჩვეულებრივ ქალაქებში ნაბეჭდი ტესტისა და ფანქრის გამოყენებით. ერთიანი ეროვნული გამოცდების შემთხვევაში, ყველა აბიტურიენტი, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ნაკადი გვაქვს კონკრეტულ სავალდებულო საგნებში, თითოეული მათგანი ერთი და იმავე რაოდენობის და ტიპის დავალებას იღებს. ეს იმისთვის, რომ ყველა აბიტურიენტი თანაბარ პირობებში მოვაქციოთ. ასეთ შემთხვევაში დიდი პრობლემა შეიქმნებოდა სკოლებში. ყველა მოსწავლეს თუ ერთნაირი დავალება ექნებოდა მიცემული, თვითონ პროცესის გაკონტროლება გაძნელებოდა, ყველა მოსწავლესთვის სხვადასხვა ტიპის დავალების მიცემა კი, ფაქტობრივად, შეუძლებელია. სწორედ ამიტომ არჩევანი გავაკეთეთ სრულიად ინოვაციურ სავალდებულო ფორმატზე. CAT გახლავთ ინტელისუური აბრევიატურა Computer Adaptive Testing-ის, თუმცა ქართულად ამის შესატყვისი ცოტა რთულია მოიძებნოს, მაგრამ შეიძლება ასე ვთარგმნოთ: მოსწავლის შესაძლებლობასზე მორგებული ტესტი. ეს ფორმატი გვაძლევს საშუალებას, გავაკონტროლოთ თავად სავალდებულო პროცესი, რომელიც ამავდროულად იქნება გამჭვირვალეც და, რაც ყველაზე მთავარია, სამართლიანი, რადგან მაქსიმალურად ეფექტურად განვსაზღვრავთ კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობას და არავინ დაიჩაგრება იმის გამო, რომ ვიღაცას უფრო რთული დავალება მიუვიდა, ვიღაცას – უფრო მარტივი. ეს გამოცდა რთული მოსამზადებელია. ჩვენ თავიდანვე უარი ვთქვით არსებული სისტემის ზუსტ კოპირებაზე ჩვენს ქვეყანაში. გვინდოდა უკვე არსებული მოდელის გამოყენებით შეგვექმნა სისტემა და ამას ვახორციელებთ კიდევაც.

გამოცდების ეროვნული ცენტრი შექმნის კომპიუტერულ პროგრამას, ალგორითმს და ყველაფერ იმას, რაც ამ სისტემის გამართულ მუშაობას სჭირდება. ყოველი მოსწავლე მიიღებს კონკრეტულ დავალებას, რომელიც მარტივად რომ ვთქვათ, საშუალო სირთულის იქნება. მოსწავლემ თუ მოახერხა და სწორად გასცა პასუხი ამ დავალებას, მაშინ პროგრამა ავტომატურ რეჟიმში გაუზავნის შემდეგ დავალებას, და ეს დავალება ოდნავ უფრო რთული იქნება. თუ მოსწავლე კითხვას არასწორად გასცემს პასუხს, მაშინ ასევე ავტომატურ რეჟიმში პროგრამა გაუზავნის ცოტა უფრო მარტივ დავალებას. საბოლოო ჯამში, დავალებათა გარკვეული რაოდენობის მიღების შემდეგ, უკვე ზუსტად დგინდება

კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობა და გამოცდა წყდება. აქედან გამომდინარე, ყველა მოსწავლე სხვადასხვა რაოდენობის დავალებას მიიღებს. კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობა შეიძლება დადგინდეს, ვთქვათ, 20 დავალების შემდეგ და დასრულდეს გამოცდა, სხვა მოსწავლის შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს 30 ან 40 დავალების გაგზავნა. გამოცდის ხანგრძლივობა საათნახევარი იქნება. როდესაც ვსაუბრობთ საშუალო სირთულის დავალებაზე, უფრო მარტივ დავალებაზე, საფეხური უფრო მაღლა მდგომ დავალებაზე, ამას უზარმაზარი სამუშაო უძღვის ნინ. 2010 წლის გაზაფხულიდან უკვე დავიწყეთ ფართომასშტაბიანი აპრობაციები, რაც გულისხმობს იმას, რომ დავიწყეთ ტესტური დავალებების ბანკის შექმნა. ყველა დავალება უნდა იყოს ათასჯერ გამოცდილი და შემოწმებული ფიქშიმეტრული პარამეტრების მიხედვით. ჩვენ ვახსენებთ სირთულე, ეს ერთ-ერთი პარამეტრია, მაგრამ არა ერთადერთი. ტესტურ დავალებას უამრავი სხვა ფსიქომეტრული პარამეტრი აქვს, რასაც უკვე ერგება ალგორითმი და ის პროგრამა, რომელსაც გამოცდების ეროვნული ცენტრი შეიმუშავებს. აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, მართალია კომპიუტერის მეშვეობით მოუწევს მოსწავლეს გამოცდის ჩაბარება, მაგრამ ეს არანაირ სპეციალურ კომპიუტერულ უნარებს არ მოითხოვს. პროგრამა ძალიან მარტივი და მუდგობრივია. მოსწავლეს მოუწევს თავის საიდენტიფიკაციო კოდის აკრეფა, რის შემდეგაც იწყება გამოცდა და მოსწავლეს ავტომატურ რეჟიმში გაუზავნება დავალებები. მან უზბრალოდ უნდა იცოდეს, როგორ მონიშნოს სწორი პასუხი, სხვა არაფერი მას არ მოეთხოვება.

– გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე როდის განთავსდება ტესტურ დავალებათა ნიმუშები?  
– დეკემბრის პირველ კვირას მთელ საქართველოში ჩვენ მასშტაბური აპრობაციები გვაქვს დაგეგმილი, სადაც 7000-ზე მეტი მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი აქტივობაა ჩვენი ტესტური დავალებების ბანკის შექმნისთვის, რის შემდეგაც მოხდება ე.წ. კალიბრაცია. ამის შემდეგ ჩვენ შევძლებთ ტესტური დავალებების ნიმუშების განთავსებას ჩვენს ვებგვერდზე. ასე რომ, დეკემბრის მეორე ნახევრისთვის ჩვენს მოსწავლეებს ვპირდებით, რომ უკვე ტესტური დავალების ნიმუშები გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ

პრობლემა ბარიერის გადალახვასთან დაკავშირებით, თუმცა მაინც ვურჩევდი ყველას, რომ ეს დარჩენილი პერიოდი აქტიურად და ეფექტურად გამოიყენოს. სუსტი მოსწავლის მოსწავლეს კი მოუწევს სერიოზული ძალისხმევების გამოჩენა იმისთვის, რომ გამოცდა ჩააბაროს.

– რვა გამოცდიდან თუ მოსწავლემ ერთ-ერთი გამოცდა ვერ ჩააბარა, ეძლევა თუ არა ერთიანი ეროვნული გამოცდებზე გასვლის უფლება?  
– თუ ვერ ჩააბარა, მაშინ მოსწავლე, სამწუხაროდ, ერთიანი ეროვნული გამოცდებზე ვერ გავა, რადგან ერთიანი ეროვნული გამოცდაზე გადის ის, ვისაც საშუალო განათლების ატესტატი უჭირავს ხელში. ასე რომ, ამ შემთხვევაში მოსწავლეს იმ გამოცდის გადაბარება მოუწევს.

– თუკი მოსწავლე სავალდებულო პერიოდში ავად არის, ამ შემთხვევაში მისთვის დამატებით გამოცდა დაინიშნება, თუ მას ეს წელი ჩავარდნილად ეთვლება?  
– განმეორებითი გამოცდის დაინიშნა მოსწავლეთა გარკვეული კატეგორიისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია. შეუძლებელია იმითომ, რომ 20 მაისისთვის ასრულებენ სწავლას მეთორმეტე კლასელები და ჩვენ გამოცდები დაგეგმილი გვაქვს მაისის ბოლო კვირას და ივნისის პირველ დღეებში. აქედან გამომდინარე თუ ჩვენ, ასე ვთქვათ, დამატებით გამოცდებს ჩავატარებთ, მაშინ რვავე საგანში დამატებითი გამოცდები უნდა ჩავატაროთ, რადგან არავინ იცის, ვინ გახდება ფიზიკის გამოცდის დროს ავად და ვინ – ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის დროს, რომელიც, რომ ჩვენ უზრალოდ ვერ დავიწყებთ ერთიანი ეროვნული გამოცდებს იმ დროს, როდესაც დაინიშნულია. ასე რომ, მე მოვუწოდებ ყველას, გაუფრთხილდნენ თავს და გამოცდების პერიოდში ყველა იყოს ჯანმრთელი. ანალოგიური ვითარება გვაქვს ერთიანი ეროვნული გამოცდების შემთხვევაშიც. ძალიან კარგად მესმის, რომ ხშირად ობიექტური მიზეზი არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერს ვშვებით და სხვა გზა არ აქვს აბიტურიენტს, მეორე წელს ელოდება და შემდეგ იღებს მონაწილეობას კონკურსში.

– ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელთათვის მზადდება თუ არა ტესტები და რა ენაზე აბარებენ ისინი საატესტატო გამოცდებს? გარდა ამისა, ექნებათ თუ არა რაიმე პრივილეგია ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს?  
– პრივილეგია არ ექნებათ, რადგან ისინი ისეთივე სწავლებისა და გამოცდების ჩაბარების უფლებით სარგებლობენ, როგორც ქართული სკოლების მოსწავლეები. ამ კუთხით ვერანაირად ვერ გამოვეყოფთ კონკრეტულ ჯგუფს. გვესმის, რომ მათ ვერ მოვთხოვთ ქართულ ენაზე იმ საგნების ჩაბარებას, რომლებსაც 12 წლის განმავლობაში თავიანთ მშობლიურ





# ხრიდოლი ელაჰანდლოზაში გასოსხლავდი ისტორია



ქართული კრივი



რკენა



ქართული ჭიდაობა

საბედნიეროდ, ქართული საბრძოლო ხელოვნება - ხრიდოლი უკვე არ წარმოადგენს უცხო ხილს საქართველოში და მისი პოპულარობა თანდათან იზრდება. დღევანდელი სახე ხრიდოლი 1997 წელს მიიღო, როცა გადაწყდა მისი აღდგენა თანამედროვე სახით. პრაქტიკულად, ეს ქართული ხუთჭიდაია, რომელიც აერთიანებს: ქართულ ჭიდაობას, რკენას, ქართულ კრივს, ფარიკაობას და მშვილდოსნობას. ქართული ჭიდაობა ძირითადად იმეორებს ქართულ-კახეთში გავრცელებულ სახეობას, რკენა კი ძირითადად ხევსურული ჭიდაობის ელემენტებზეა აგებული. მართალია, ისიც შე-

ცავს ქართული ჭიდაობის ტრადიციულ ილეთებს, მაგრამ განსხვავებულ საგრძნობია - აქ დაშვებულია მახრჩობელია და მტკივნეული ილეთები, ფეხიდან ხელით აყვანა, რაც ხევსურულ ჭიდაობას ახასიათებდა და ძირითადად იქ იყო გავრცელებული. ქართული კრივი ესაა რკენაზე დამატებული დარტყმის ელემენტები. იქ დასაშვებია როგორც დგომში და ჩოქბურში შერკინება, ისე დარტყმა ხელით ან ფეხით. ფარიკაობის და მშვილდოსნობის მნიშვნელობა კი გასაგებია. ბუნებრივია, ქართული საბრძოლო ხელოვნება კიდევ უამრავ სახეობას აერთიანებს - შურდულის ან შუბის სროლა და სხვ., მაგრამ ყველას შესწავლა შეუძლებელია და ამიტომ ხუთჭიდაში ესენი ჩართეს. ეს იმან განაპირობა, რომ მეტროპოლის შესძლებოდა როგორც კონტაქტური ორთაბრძოლა, ანუ ჭიდაობა, ისე სროლა და იარაღის მოხმარება. ამიტომ შეარჩიეს ისეთი სახეობა, რომლებიც ერთმანეთთან ახლოს არიან. მაგალითად, ქართული კრივი ლამის ყველაფერს მოიცავს, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ სახეობებს, ისინიც შედიან ხრიდოლის საბრძოლო სახეობებში, მაგრამ არა საასპარეზოებში.

ვფიქრობთ, ზემოთქმულიდან ნათელია ხრიდოლის დანიშნულება - ეს არაა სპორტი, ის უფრო მეტია. მან უნდა მოამზადოს, ერთი მხრივ, კარგი მეტროპოლი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში, ქვეყნის დაცვა შეეძლება (ამის საჭიროება გაცილებით მწვავედ იდგა გარდასულ საუკუნეებში, მაგრამ არც დღეს დაუკარგავს აქტუალობა - „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ კვლავაც ძალაშია), მეორე მხრივ კი მოზარდები რაინდებად, ზნეობრივად სრულყოფილ მოქალაქეებად უნდა აღზარდოს. ხრიდოლის მხედრული კოდექსი 365 სამამაცო ზნეს შეიცავს, რაოდენობა კი პირდაპირ კავშირშია წმინდა გიორგის სალოცავთა ციფრთან. ამ კოდექსში შედის ყველა ის წესი, რაც სისხლსა და ხორცი შიშნობდა გამჯდარი ჩვენს წინაპრებს. მაგალითად, მოქცევა მანდილოსანთან, უფროსთან, უმცროსთან; მამაკაცი არასოდეს არ უნდა დამთვრალიყო სუფრასთან, არ უნდა დაღლილიყო მუშაობით... იქნებ, ეს დღეს ძალზე უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ძველად ყველაფერი სიკვდილ-სიცოცხლეს, ფიზიკურ გადარჩენას უკავშირდებოდა. მაგალითად, მამაკაცს დათრობა იმიტომ ეკრძალებოდა და ნაკლად ეთვლებოდა, რომ წინასწარ არავინ იცოდა, ფეხზე დადგოდა თუ ვიღის დასჭირდებოდა ოჯახს, სოფელს, თემს შუალამისას, ლხინში, ჭირში... მტრის თავდასხმა ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი და ასეც ხდებოდა. შრომში დაღლა იმიტომ იყო მიუღებელი, რომ გუთნით გატანილი კვალის ბოლოს ქართველ კაცს ხშირად ჩასაფრებული მტერი ელოდა და ფეხზე დადებოდა, ტანსაცმელი კი ისე, სიბნელეშიც უცებ გადაეცემა. ესეც ძნელად იმეორებოდა იყო გამონეული ქურდულად მოპარული მტერი უმეტესად მოკავშირედ სიბნელეს იყენებდა და ღამით ესხმოდა თავს, მეომარი კი ამისთვის ძილშიც უნდა ყოფილიყო მზად.

ძალზე საინტერესო იყო ქალთან, უფროს-უმცროსთან მოქცევის წესი, ანუ ის, რასაც დღეს საზოგადოებაში ქცევას ვეძახით. მამაკაცი ქალს თუ უფროსს მარცხენა მხრიდან უნდა ამოსდგომოდა, რადგან ის დაუცველი მხარე იყო; სიბნელეში მათზე ნახევარი ნაბიჯით წინ უნდა წასულიყო და დაეცვა ისინი თავდასხმისგან, დღის განმავლობაში კი, პირიქით, ნახევარი ნაბი-

ჯით უნდა ჩამორჩენოდა და ზურგიდან დაეცემა.

სწორედ ამ რაინდულმა წესებმა განაპირობა საჯარო სკოლების დაინტერესება ხრიდოლით და თანამშრომლობაც შედგა, სადღეისოდ დედაქალაქის 20 სკოლაშია დანერგული, რასაც სათავეში ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია - ხრიდოლი უდგას. რომ არა სპეციალისტების პრობლემა, გაცილებით ბევრგან იქნებოდა. რეგიონებიდან დღემდე გორის ერთ-ერთ სკოლაში მუშაობდა ჯგუფი, უახლოეს დღეებში კი, როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა ნუკრი მჭედლიშვილმა გვითხრა, რუსთავეის №17 სკოლაშიც გაიხსნება. ინტერესი არის და მალე ალბათ სიღნაღში, დუშეთში და კიდევ რამდენიმე რაიონში გაიხსნება ჯგუფი. ფედერაციას სპორტული გუნდებიც ჰყავს და ხშირად მონაწილეობენ ტურნირებში საქართველოშიც და უცხოეთშიც, მაგრამ ხრიდოლიონთა (ასე უწოდებენ საკუთარ თავს) უმთავრესი ამოცანა არა სპორტული წარმატებები, არამედ მოსწავლეთა ღირსეულ მოქალაქეებად და რაინდებად აღზრდაა. აღსანიშნავია, რომ ხრიდოლის ეს სული კარგად იგრძნეს როგორც მასწავლებლებმა, ასევე მოსწავლეებმა და ინტერესი დიდია. ხრიდოლის ბავშვს არ დაინტერესებს ქცევის ის ზეამაღლებული წესები, რაც ზევით აღვწერეთ! თუმცა ეს კიდევ არაა ყველაფერი.

ძველ საქართველოში ბავშვის აღზრდა 5 წლიდან იწყებოდა და პირველი ეტაპი მოიცავდა 12-წლამდე ასაკს. ამ პერიოდში მოზარდს ხის იარაღის მოხმარებას და სხვა სამამაკაცო საქმეებს ასწავლიდნენ, ამზადებდნენ მეომრად, მეტროპოლად. აქ შეგვიძლია ხევსურული საფიზიკო გავიხსენოთ, სადაც მხოლოდ მამაკაცი იკრიბებოდნენ, ქალებს და გოგონებს კი შესვლის უფლება არ ჰქონდათ. იქ უფროსები ბავშვებს ხმალ-ხანჯლის მოხმარებას, ანუ კეჭნაობას, საბრძოლო ხელოვნებას და არა მხოლოდ ამას ასწავლიდნენ, სამუშაო იარაღების მოხმარებაშიც წვრილდნენ. ამავე ასაკიდანვე აჩვენებდნენ ტყვიის მოთმენას, ცრემლი სირცხვილად მიიჩნეოდა. საფიზიკოს გვერდით არსებობდა სადიაცო კუთხეც, სადაც უკვე ქალები იკრიბებოდნენ გოგონებთან ერთად, სადაც მამაკაცს ეკრძალებოდა შესვლა. იქ დედები გოგონებს საოჯახო საქმეებსა და ხელსაქმეს ასწავლიდნენ. იქნებ დღევანდელი გადმოსახედიდან ესეც მკაცრი წესია, მაგრამ მაშინ გამართლებული იყო. დედას იმიტომ ეკრძალებოდა საფიზიკო შესვლა და, ვთქვათ, კეჭნაობაზე დასწრება, რომ შეიძლოს იარაღის დანახვაზე აუცილებლად გამოხატავდა ემოციას, მამა კი, პირიქით, ტყვიის მოთმენას ასწავლიდა. ასევე მამა ვერაფერს ასწავლიდა გოგოს, სადიაცოში რომ შესულიყო. ასევე იყო გამჯდარი საქალებო და სამამაკაცო კუთხეები თუშურ ოჯახებშიც - ქალი კაცის ნაწილში არ შევიდოდა და პირიქით. იქაც ყველას მკაცრად ჰქონდა განსაზღვრული თავისი საქმე, რაშიც ერთ-ერთი უმთავრესი შეილები აღზრდა იყო.

ერთი სიტყვით, 12 წლამდე ბავშვი სწავლობდა და ემზადებოდა მეტროპოლად ჩამოყალიბებისთვის. აი, 12-დან 15 წლამდე მას უკვე ევალბოდა საკუთარი სოფლის დაცვა, სანადიროდ წასვლა და სხვ. თუმცა, ის ჯერ მაინც არ იყო სრულფასოვანი მამაკაცი. ამ სტატუსს 15 წლიდან იღებდა, როცა მას ლაშქარში საომარდ წასვლის ნებაც ეძლეოდა. ესეც გონივრული გათვლა იყო - ამ პერიოდში მას უნდა მოესწრო ყველაფრის შესწავლა, უნდა გაეცლო ყველა საფეხური.



თუ ამას წარმატებით გააკეთებდა, კარგი მეომარიც დადგებოდა, თუ ვერ შეითვისებდა, განწირული იყო! წერილში ხშირად ვახსენებთ სიტყვა „მებრძოლს“ და იქნებ დაგჩრჩეთ შთაბეჭდილება, რომ თითქოს მშობლებს სხვა მიზანი არ ჰქონდათ, მაგრამ იმ ეპოქებში მთავარი მართლაც ფიზიკური გადარჩენა იყო. ამიტომ ცდილობდნენ მოზარდში საბრძოლო თვისებების გამომუშავება-დახვეწას ბავშვობიდანვე და ვინც ამას კარგად აკეთებდა, წარმატებაც გარანტირებული ჰქონდა. სხვას რომ თავი დაეხანებოთ, სწორედ ამ ასაკში მიიღეს პირველი საბრძოლო ნათლობა ჩვენმა სახელოვანმა მეფეებმა - დავით აღმაშენებელმა ჩრდილო კავკასია დალაშქრა და მოზარკედ აქცია, ერეკლე II-მ კი პატარა რაზმით ლეკთა მოხარო ლაშქარი გააცამტვერა.

...ხრიდოლზე მოთხოვნა ბევრად დიდია, ვიდრე ეს 20 სკოლაა, მაგრამ, როგორც გითხარით, სპეციალისტების დეფიციტი გადაულახავი პრობლემაა. ნუკრი მჭედლიშვილის თქმით, მწვრთნელობის მსურველი ბევრია, მაგრამ ამისთვის მარტო მიწოდება არ კმარა, კანდიდატი რაინდობის იმ მკაცრ მოთხოვნებს სრულად უნდა აკმაყოფილებდეს, რაც კოდექსშია მოცემული. საჯარო სკოლების გარდა, ხრიდოლით თავდაცვის სამინისტროც დაინტერესდა და არმია ინტენსიურად ჩაება საბრძოლო ხელოვნების წვრთნებში, სამინისტროს ბაზაზე კი მწვრთნელთა გადამზადებაც დაიწყო. ხრიდოლის ფედერაციის პრეზიდენტს მათიც ეიმედება, თუმცა თავდაცვ ზრდიან საკუთარ კადრებს. მეორე დიდი პრობლემაა ლეიბების და სხვა სახის ინვენტარის დეფიციტი. ფედერაცია ბიუჯეტიდან მცირე თანხით სულ ორჯერ დააფინანსეს, ძირითადად კი, საკუთარი ჯიბის ან მეგობართა დახმარების იმედად არიან. ხშირად ხდება ხოლმე, როცა დარბაზის მოსაწყობად სანაკვეზე გადაგებულ მოძველებულ ინვენტარს იყენებენ.

არადა, ვფიქრობთ, რაც მეტი სკოლა დაინტერესდება ხრიდოლით, მით უკეთესი. როგორც ნუკრი მჭედლიშვილი ამბობს: ხრიდოლია ატმოსფერო, ბავშვთა სულიერი სამყარო შეცვალა, ყველაგან, სადაც კი მათი ჯგუფებია გახსნილი, მოზარდები ღირსეულ ქართველებად ყალიბდებიან.

ირაკლი თაყაიძე



# მოსივასიისა და ნიჭიანობის საუკეთესო შედეგი



**გვესაუბრება**  
თავისუფალი უნივერსიტეტის რექტორი,  
პროფესორი გ. გვახარია

– უკვე რამდენიმე წელია, რაც საქართველოში ერთიანი ეროვნული გამოცდები დაინერგა. რა შედეგები მოგვცა გამოცდების ახალმა მოდელმა, აბიტურიენტების მომზადების თვალსაზრისით? როგორი დონის პირველკურსელები მოდიან?

– ერთიანი ეროვნული გამოცდებამდე, აბიტურიენტების კონტინგენტის შერჩევა ჩვენს სასწავლებლებში (შეგახსენებთ, რომ თავისუფალი უნივერსიტეტი 2007 წელს ჩამოყალიბდა და მასში გაერთიანდა ორი წამყვანი უმაღლესი სასწავლებელი: იესე მთილისი – ბიზნესის სკოლა და თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი) ძალიან საფუძვლიანი და კარგად ორგანიზებული გამოცდების შედეგად ხდებოდა, შესაბამისად, სტუდენტები, რომლებიც ამ ორ სასწავლებელში (კიდევ გავიმოკრებ, რომელთა გაერთიანების შედეგად თავისუფალი უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა) აბარებდნენ, კარგად სწავლობდნენ, კარგი შედეგებიც ჰქონდათ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ერთიანი ეროვნული გამოცდები დაინერგა, შედეგები კიდევ უფრო გაუმჯობესდა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ბოლო წლების განმავლობაში, თავისუფალი უნივერსიტეტში ყველაზე დიდი კონკურსი და ყველაზე კარგი მაჩვენებლებითაც სწორედ ჩვენთან მოსული სტუდენტები გამოირჩევიან, ანუ ყველაზე მაღალი ქულები თავისუფალი უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტებს აქვთ, ყველა 100-პროცენტული დაფინანსებით მოდის. ეს, რაც შეეხება ტექნიკურ მაჩვენებლებს, არანაკლებ საინტერესოა, როგორია მათი დონის მიხედვით, თითქმის რეალურ ვითარებას? უნდა გითხრათ, რომ ეს მაჩვენებლები რეალურ ვითარებას ზუსტად შეესაბამება, რადგანაც აბიტურიენტები, რომლებიც თავისუფალი უნივერსიტეტში აბარებენ, კარგად არიან მოტივირებული, იციან კონკრეტულად რა უნდათ შეისწავლონ, სწორად აკეთებენ ფაქულტეტის – სკოლის არჩევანს; როგორც წესი, გარდა მოტივაციისა მათ შესაბამისი ცოდნა აქვთ იმ დისციპლინებში, რაც უნდა ისწავლონ. მაგალითად, თუ ახალგაზრდა ბიზნესის სკოლას ირჩევს, ის კარგად არის მომზადებული იმისათვის, რომ ბიზნესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ყველა საგანი შეისწავლოს, აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებული იმის შესახებ, რომ მათი ძირითადი სპეციალობა იქნება საერთაშორისო ურთიერთობები, რის გამოც, ერთი რომელიმე ქვეყნის ან რეგიონის ენის შესწავლა მოუწევთ. მათ საშუალება ეძლევათ, შეისწავლონ: იაპონური, ჩინური, არაბული, თურქული, სპარსული, ასევე, კორეული, ჰინდი და ა.შ. კონკრეტულად ენების შესწავლას რაც შეეხება, ეს არ არის მხოლოდ ერთი რომელიმე სკოლისთვის განკუთვნილი. მოგვსენებთ, ამჟამად თავისუფალი უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ოთხი სკოლა: იესე მთილისის სკოლა, აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი, კომპიუტერული

ტექნოლოგიებისა და მათემატიკის სკოლა და სამართლის სკოლა. ამდენად, ჩვენს უნივერსიტეტში ოთხივე სკოლის სტუდენტებს შეუძლიათ ზემოთ ჩამოთვლილი ენების შესწავლა. სტუდენტს, რომელიც ამ ოთხიდან ერთ-ერთ სკოლაში ჩააბარებს, შეუძლია მეორე სპეციალობაც აირჩიოს, ე.წ. მაინორი – სხვადასხვა სპეციალობების ჩამონათვალი. მაგალითად, ბიზნეს სკოლის სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, აირჩიოს ჩინური, იაპონური, თურქული, არაბული ან სხვა ენები, ისევე როგორც აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის სტუდენტს – სამართალი, ბიზნესი ან კომპიუტერული ტექნოლოგიები და ა.შ. მართალია, ეროვნულ გამოცდებამდე არც კონტინგენტის მოზიდვისა და არც კონტინგენტის დონის თვალსაზრისით დიდი პრობლემები არ გვქონდა, მაგრამ ერთიანი ეროვნულმა გამოცდებმა სისტემაში მოიყვანა და ცივილიზებული გახადა ეს ყველაფერი, შესაბამისად, გაცილებით კარგი შედეგები მოგვცა. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, ინფორმირებული ვიყოთ, როგორია ზოგადად აბიტურიენტის დონე, რომელიც საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში აბარებს. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩვენ გვაქვს წინასწარი სტატისტიკა, მონაცემთა ბაზა – როგორი ვითარებაა, რამდენი აბიტურიენტი აბარებს და როგორია ამა თუ იმ უმაღლესი სასწავლებლის საკონკურსო პირობები. თუმცა, აქვე გეტყვით, ჩვენთან ყოველთვის კონკურსი, სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით, მაღალია. მაგალითად, წელს თავისუფალი უნივერსიტეტში ერთ ადგილზე 10 აბიტურიენტი მოდიოდა, მაშინ, როცა ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში დამატებით ადგილების რაოდენობა მსურველთა რაოდენობაზე მეტი იყო. ორგანიზების თვალსაზრისითაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ყოველწლიურად იხვეწება, ასე რომ, ერთიანი ეროვნული გამოცდებს კარგი შედეგები აქვს და პრეტენზიებიც არაფერი გვაქვს ისევე, როგორც არ გვაქვს პრეტენზიები აქ მოსული სტუდენტებისადმი. ყველა პირობა ვუქმნით იმისთვის, რომ მათი არჩევანი გაგამართლოთ, იმედი არ გავუცრუოთ. მეტიც, ვთავაზობთ მეორე სპეციალობას, მაინორის სახით, საუკეთესოებს კი – გრანტებს, ყველაზე მაღალქულიან სტუდენტებს უფასოდ სწავლის საშუალებას ვაძლევთ. სკოლების მიხედვით ყველაზე მაღალქულიანი თითო სტუდენტი ჩვენთან გრანტს მიიღებს. გარდა ამისა, გასული წლიდან სტუდენტებს საუკეთესო შეთავაზება გავუკეთეთ, სწავლის პერიოდში შეუძლიათ არ გადაიხადონ სწავლის საფასური, ხოლო დამთავრების შემდეგ კი სხვას დაუფინანსონ სწავლა. ბევრს უჩნდება კითხვა, თუ ვერ დასაქმდა ახალგაზრდა, როგორ მოიქცეს? სტატისტიკის მიხედვით, თითქმის ყველა ჩვენი კურსდამთავრებული დასაქმებულია, მეტიც, მესამე-მეოთხე კურსიდან იწყებენ სამსახურს. ამას ნაწილობრივ თვითონ ახერხებენ, ნაწილობრივ კი უნივერსიტეტი ზრუნავს. ჩვენ უამრავ დანახვებულხარისხთან გვაქვს ურთიერთობა – როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო ორგანიზაციებთან, მსხვილ კომპანიებთან და არა მხოლოდ მათთან, სახელმწიფო უწყებებთანაც: ეკონომიკის, ფინანსთა და საგარეო საქმეთა სამინისტროებთან. ჩამოთვლილი უწყებები თავად ინტერესდებიან ჩვენი კურსდამთავრებულების ცოდნით და კვალიფიკაციით, პერსპექტიული ახალგაზრდები სტაჟირებად აპყავთ, შემდეგ კი სამსახურით აქმაყორებენ. ასევე მოთხოვნა ჩვენს კადრებზე ბანკებიდან. მეტსაც გეტყვით, ზოგიერთი უწყებისთვის სტაჟირების გავზავნა გამიჭირდა, რადგანაც ჯგუფებში სტუდენტთა უმეტესობა უკვე დასაქმებული აღმოჩნდა. თუკი მესამე და მეოთხე კურსიდან არის დასაქმების რეალური საფუძველი, დამთავრების შემდეგ როგორ უნდა გახდეს ეს პრობლემა? ჩვენს უნივერსიტეტს უცოდინარები ვერ დამთავრებენ, ამდენად, შრომითი მოწყობის თვალსაზრისით, 90-პროცენტზე მეტი ალბათობით, მათ აქვთ შესაძლებლობა, დასაქმდნენ. კითხვაზე – თუ სამსახურს ვერ იშოვის, როგორ უნდა გადაუხადოს სხვას

სწავლის საფასური, მოკლედ გიპასუხებთ, თუკი ამას პროცენტულად გავიზარებთ, ამის ალბათობა თითქმის დაუშვებელია, მაგრამ თუ მაინც დავუშვებთ, დაახლოებით ორი პროცენტი იქნება, თუმცა ესეც მეჭვებია. ამდენად, ჩვენ ამაზე წავედით ისევე და ისევე მონაცემებსა და შედეგებს დაყრდნობით. არ მინდა, ეს განცხადება ვინმემ პოპულიზმად ჩამითვალოს, უბრალოდ, ნიჭიერ ახალგაზრდას, რომელიც აქამდე ჩვენს უნივერსიტეტს ვერ შემოხაზავდა იმის გამო, რომ გადასახადს ვერ გადაიხდიდა, ახლა ვაძლევთ შანსს, ისწავლოს უფასოდ და შემდეგ სხვა ნიჭიერი ახალგაზრდა დააფინანსოს. ეს ყველაფერი იმაზეცაა გათვლილი, რომ მოვიზიდოთ ნიჭიერი ახალგაზრდები, ისინი, ვისაც ფინანსური პრობლემები აქვს. თუნდაც ეს საკითხი, რომ სახელმწიფო გრანტის სახით აფინანსებს გარკვეულ გადასახადს სტუდენტისთვის, ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და განათლების სფეროში არსებული პოლიტიკის შედეგია, მანამდე ხომ ასე არ იყო. – როგორც წესი, საქართველოში აბიტურიენტების უმრავლესობა რეპეტიტორებთან ემზადება, ანუ აბიტურიენტის დონეს უმეტესწილად რეპეტიტორი განსაზღვრავს... – რეპეტიტორის დონეზე მომზადება არ მნამს. თუ რეალურ ვითარებას შევფასებთ, ჩვენი უნივერსიტეტიდან გამომდინარე გეტყვით, რომ უმაღლესი ქულები აიღეს რაიონების, პერიფერიების სკოლადამთავრებულმა აბიტურიენტებმა, მაგალითად, თერჯოლის, ონის სკოლების მოსწავლეებმა, ასევე, ქუთაისის ერთ-ერთი სკოლის კურსდამთავრებულმა. მათ არანაირი შეხება არ ჰქონდა რეპეტიტორებთან. მოტივაცია და ნიჭიერება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ აბიტურიენტი რეპეტიტორის გარეშე იყოს საუკეთესო. საბედნიეროდ, საქართველოში, გარკვეული პროცენტით, კიდევ არის შემორჩენილი სკოლები, რომლებიც მოსწავლეს კარგ განათლებას აძლევს. ზოგადად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რომ პრობლემები არსებობს, რომლის გამოც მოსწავლეთა იძულებული არიან რეპეტიტორებს მიმართონ, ალბათ, ვერავინ უარყოფს, ეს ფაქტია. ამის გამოსასწორებლად კი, სასურველია შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება, რაც, ერთი მხრივ, უნდა განაპირობებდეს მასწავლებლების მომზადების მაღალ დონეს, ამ პროცესში სახელმწიფოს და განათლების სამინისტროს მონაწილეობას და, მეორე მხრივ, მასწავლებლისთვის შესაბამისი პირობების შექმნას ცოდნის გადასაცემად – სკოლაში არ უნდა არსებობდეს არც ტექნიკური აღჭურვილობის პრობლემა, არც გათბობის, არც სახელმძღვანელოების და არც ანაზღაურების, ანუ მასწავლებელს მეტი მოტივაცია სჭირდება. სწორედ აქეთ მივდივართ და, ალბათ, მალე რეპეტიტორიც აღარ დაგვჭირდება. – მუშაობს თუ არა თავისუფალი უნივერსიტეტში მობილური პროგრამები? – რასაკვირველია, მობილური პროგრამები ფუნქციონირებს, ეს ევროპული საგანმანათლებლო სივრცის და ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი თანმდევი მოვლენაა. სტუდენტებს ეძლევათ როგორც ჩვენს უნივერსიტეტში გადმოსვლის უფლება, ასევე – სხვა უმაღლეს სასწავლებლებში გადასვლის, მათ შორის, უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებშიც. თუმცა, ამისთვის გარკვეული წესები არსებობს. პირველ რიგში, უნდა არსებობდეს ვაკანსია და შესაბამისობაში უნდა იყოს გადმოსვლელი მსურველის მონაცემები. ვგულისხმობ იმ პროგრამასთან შესაბამისობას, რაც ჩვენთან ფუნქციონირებს. მისაღები კანდიდატურის შერჩევა უნივერსიტეტს გადმომსვლელ მსურველთა მონაცემების სუფუძველზე შეუძლია. – თავისუფალი უნივერსიტეტს ხომ არ აქვს აბიტურიენტთა მოსამზადებელი პროგრამები? – მოსამზადებელი კურსები ჩვენს უნივერსიტეტს არ აქვს, მაგრამ ჩვენთან ტარდება ოლიმპიადები, შეხვედრები აბიტურიენტებთან. იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებიც ჩვენთან აპირებენ ჩაბარებას, სპეცი-

ალური პროგრამებია შეუმუშავებელი. გვინდა, ისინი მასკიმალურად იყვნენ ინფორმირებული შერჩეული სპეციალობების შესახებ. ამ მიზნით, მათ ტრენინგებსა და ლექციებს ჩვენივე პროფესორები უტარებენ. როგორც გითხარით, ტარდება ოლიმპიადები, კონკურსები, რითაც ახალგაზრდებს თავიანთი ცოდნის გამოვლენის შესაძლებლობა ეძლევათ. თუმცა, ეს მხოლოდ ცოდნის გამოვლენის შესაძლებლობა არ არის, საუკეთესო შედეგის მქონე აბიტურიენტებს უნივერსიტეტი გრანტს აძლევს. – უნევს თუ არა თავისუფალი უნივერსიტეტი კონკურენტის უცხოეთში განათლებულ კადრებს? – გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენს უნივერსიტეტში სწავლობენ სტუდენტები უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან, შემოძლია გითხრათ, რომ კონკურენტუნარიანი ვართ – არა მარტო კონკურენტის ვუნვეთ უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებს, თუ პოპულიზმში არ ჩამომართმევთ, გეტყვით, რომ ბევრი არჩევანს ჩვენს სასარგებლოდ აკეთებს. თავისუფალი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებში და პირველობა არც იქ დათმოს. ჩვენს კადრებს დასაქმების პრობლემა არა თუ საქართველოში, უცხოეთის ქვეყნებშიც არ აქვთ – მიწვეულები არიან პროფესორებად და ლექციებს კითხულობენ, მაგალითად, აშშ-სა და ევროპის უნივერსიტეტებში. ეს ყველაფერი იმის თქმის უფლებას მძლევს, რომ საკმაოდ კარგი მაჩვენებლები გვაქვს როგორც ქვეყანაში, ისე ქვეყნის გარეთ. მაგალითად, მაიკროსოფტის ოფისი, კონკურსის შედეგად ჩვენი სკოლების კურსდამთავრებულს რომ იყვანს, ეს იმას ნიშნავს, რომ კვალიფიციურ კადრებს ვამზადებთ. – დაბოლოს, რა იყო თავისუფალი უნივერსიტეტის წლის სიახლე, რომელსაც ჩვენი გაზეითს მკითხველს გავაცნობთ? – მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ ახლახან მოვანერეთ ხელი დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, გაიხსნა კონფუციის ინსტიტუტი. მოგვსენებთ, ჩვენს უნივერსიტეტში ჩინური ენის სწავლება მიმდინარეობს და მრავალწლიანი გამოცდილების შემდეგ გადაწყდა, გაიხსნას ჩინური ენისა და კულტურის შემსწავლელი ინსტიტუტი, ეს კავკასიის რეგიონშიც ერთადერთია ჯერჯერობით. ეს ჩინური პროექტია, რომელიც მსოფლიოს 88 ქვეყანაში ფუნქციონირებს. კონფუციის ინსტიტუტს პარტნიორი ეყოლება ჩინეთში, ლანჭოუს უნივერსიტეტის სახით, ეს პროექტიც სწორედ ჩინეთის მთავრობის გადამწყვეტილებით და ამ ორ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საფუძველზე დაინიშნა. კონფუციის ინსტიტუტში სწავლა შეუძლია ჩინური ენისა და კულტურის შესწავლის ნებისმიერ მსურველს, ხაზს ვუსმამ – ნებისმიერ მოქალაქეს, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეებსაც. ეს ინსტიტუტი ანალოგიური იქნება გოეთეს ინსტიტუტის, ბრიტანეთის საბჭოსა და დიუმას ცენტრის. კონფუციის ინსტიტუტს წელს პირველად ექნება მიღება და აქვე გეტყვით, რომ საკმაოდ კვალიფიციური პედაგოგები წარმართავენ ლექციებს როგორც ჩინეთიდან, ისე საქართველოდან. კურსდამთავრებულები მიიღებენ სერტიფიკატს, სურვილის შემთხვევაში კი, შესაძლებლობა ექნებათ სწავლა ჩინეთში გააგრძელონ. კონფუციის ინსტიტუტს მსურველები, თუნდაც იმ ადამიანების სახით გამოუჩნდნენ, ვინც პერსპექტივას ჩინეთში დასაქმებაში ხედავს. მაგალითად, ინჟინერი, რომელიც სურს, საქმიანობა ჩინეთში გააგრძელოს ან თუნდაც ახალგაზრდა, რომელიც ჯერჯერობით დაუსაქმებელია.

# ეს ჩემი სანა, კალა ასრულილი ქულუხის სან!

„...რა ცოტას ცოცხლობს ადამიანი... რა საოცრად ცოცხლობს... იქნებ ამ მიზეზმა წარმოშვა ხელოვნება?... მოკლე სიცოცხლის მანძილზე ადამიანი ვერ ასწრებდა თავისი ღვთიური ნიჭის ამოწურვას, ერთხელ მიხვდა ამას და შექმნა ხელოვნება... გამოკვეთილად, ლამაზად, ამალელებლად თქვა ის, რასაც ასეული წლის სიცოცხლე დასჭირდებოდა. ხალხის შექმნილი სხარტი გამოთქმებიც ხელოვნებაა, რომ ადამიანებს რაც შეიძლება მოკლედ მოეჭრათ გრძლად სათქმელი, რომ აზრის გაზიარებას არ დასჭირვებოდა ზედმეტი წუთიც კი. ადამიანს რომ ათასი წლის სიცოცხლე დაეხდებოდა, შეიძლება აღარც ამოედგა ენა, აღარც ხელოვნება შეექმნა. თუკი მართლაც ასეა, მაშინ არ არის სავალალო, რომ ცოტა ხნით ცოცხლობდეს“.

### ედიშერ ყიფიანი



50-იანი წლების შუა ხანებში ქართულ მწერლობაში დიდი გარდატეხები ხდებოდა, სწორედ ამ დროს ისახებოდა მწერლობაში ახალი ტენდენციები, ახალი ამოცანები, ახალი ხედვა და პრობლემატიკა, რომელმაც შემდგომში განსაზღვრა მისი განვითარების ახალი, თანამედროვე ეტაპი. ეს იყო ჰუმანიზმის ახალი ინტერპრეტაციის წლები. სწორედ ამ დროს მოვიდა ქართულ მწერლობაში ის ახალგაზრდობა, ვინც შემდგომ დიდი ამაგი დასდო ჩვენს ეროვნულ საუნჯეს. ამ თაობის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი ედიშერ ყიფიანი იყო.

50-იანი წლების დასასრულს ედიშერ ყიფიანი აქვეყნებს მოთხრობების პირველ კრებულს – „მალაი ქერი“ – 1956 წელი. მას მალე მოჰყვა მწერლის საუკეთესო მოთხრობები: „ჰობოი“, „ხელები“, „საბავშვო ციკლი ათფურცლიანი რვეული“ და სხვ. მხატვრული ოსტატობა, ჰუმანიზმი, ცხოვრებიდან მოსული პერსონაჟების ხასიათთა მრავალფეროვნება, სიკეთისა და ბოროტების მძაფრი დაპირისპირება ის თვისებებია, რომლითაც გამოირჩევა ედიშერ ყიფი-

ანის მოთხრობები და რომანები. „წითელი ღრუბლები“ ედიშერ ყიფიანის პირველი რომანია, „ცაში ასროლილი ქუდები“ კი – უკანასკნელი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო რომანთაგანია თანამედროვე ქართულ პროზაში. ასეთია მისი ერთსულოვანი შეფასება. „ჭეშმარიტ ადამიანურ სიკეთეს, კეთილშობილებას, საერთოდ ღირსებებს არც შეთხზვა სჭირდება და არც გაზვიადება, მას უბრალოდ დანახვა უნდა“. ის, ვინც ედიშერ ყიფიანის შემოქმედებას ეზიარება, შეუცდომლად მიხვდება, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო მისი ავტორი. მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების კიდევ უფრო ახლოს გასაცნობად მის მეუღლეს, ქალბატონ ცირა შოთაძეს ვესაუბრეთ.

**ქალბატონო ცირა, ალბათ ბევრმა ჩვენგანმა არ იცის, რომ ქართველებს გყავს არაჩვეულებრივი მწერალი – ედიშერ ყიფიანი. გვიამბეთ მის შესახებ, ვინ იყვნენ მისი წინაპრები?**

ედიშერის წინაპრები სვანეთიდან იმერეთის სოფელ ოზაში ჩამოსახლებულან. ედიშერის ბაბუას – ბააკა ყიფიანს ხუთი შვილი ჰყავდა. ედიშერის მამა ლავრენტი ყიფიანი, რევოლუციამდელი სამხედრო იყო, შემდეგ დაოჯახებულა, ცოლად მარიამ ბუჟანიშვილი შეურთავს და სწავლა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გაუგრძელებია. უკანასკნელ კურსზე, პრაქტიკაზე რუსეთში წასულა და იქ დაღუპულა. მაშინ ედიშერი მეხუთე კლასში იყო. დედამ ედიშერი და მისი და ლეილა მარტომარტომ გაზარდა. რომანში „წითელი ღრუბლები“ აღწერილია „სხვენი“, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, როგორ ელოდებოდა დედა ბინის მიღებას და ვერ ხერხდებოდა...

ედიშერი თბილისში დაიბადა და გაიზარდა, თავდაპირველად მე-20 სკოლაში დადიოდა, მერე 42-ე სკოლაში. საშუალოს დამთავრების შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა.

**როგორ შემოდის ედიშერ ყიფიანი ქართულ მწერლობაში?**

ედიშერი ბავშობიდან წერდა წერილებს, დღიურებს. ძალიან უყ-



ვარდა ლიტერატურა, მუსიკა, ბალეტი, გიჟდებოდა ვახტანგ ჭაბუკიანზე. მისი საყვარელი მწერალი ვიქტორ ჰიუგო იყო. მას საინჟინრო განათლება ჰქონდა, მაგრამ გული მწერლობაში ედო. ლიტერატურა მისთვის იმდენად ძვირფასი და მაგიური საწყარო იყო, დიდხანს ვერ ბედავდა შებიჯებას. თავდაპირველად ჟურნალისტობა დაინიშნა. გამოიცა მისი კრებული „ბურთი და მოედანი“ (1954 წელი). ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, გრიგოლ აბაშიძე იუმორისტულ ჟურნალში „წინაგი“ უბეჭდვავდა ნარკვევებს. შემდეგ გრიგოლ აბაშიძე „დროში“ გადავიდა სამუშაოდ და ედიშერიც თან წაიყვანა. მერე „მნათობში“ მუშაობდნენ ერთად. ბატონ გრიგოლს ედიშერი ძალიან უყვარდა და გვერდიდან არ იშორებდა. პარალელურად, ედიშერი კინოსტუდიაში მუშაობდა, სასცენარო განყოფილებაში კონსულტანტად. გახსოვთ ალბათ თოჯინური ფილმი „გოგონა და შადრევანი“ და მხატვრული ფილმები: „ცეროდენა რაინდები“ და „მეტოქეები“ სწორედ მისი საბავშვო და საყმაწვილო ნაწარმოებების

მიხედვით გადაიღეს. ძალიან ბევრი გეგმა ჰქონდა, რაც სამწუხაროდ განუხორციელებელი დარჩა.



**გურამ გვერდნითელი, კრიტიკოსი: „ედიშერ ყიფიანის მოთხრობები თავისებურ დამოუკიდებელ განუმეორებელ სამყაროს ქმნიან. მას ბოლომდე გაჟვავა თავისი უმთავრესი, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ინტერესი, ინტერესი უბრალო ადამიანების ყოფის, ფსიქიკის, შეგნების, მათი სულიერი სამყაროს დაკვირვებისა. მის მოთხრობებში ნათლად ჩანს მწერლის ჰუმანიტური სულისკვეთება, მისი უსაზღვროდ მოსიყვარული, სიკეთით სავსე გული, მისი იშვიათი უნარი იმისა, რომ ცხოვრების ჩვეულებრივ მდინარეებში შენიშნოს და ჩვენც დავგანახოს ადამიანური ურთიერთობების, თანაგრძობისა და თანადგომის სიდიადე და მშვენიერება“.**



**სად და როდის გაიცანით ერთმანეთი, მამბეთ როგორ უყვართ მამინ საქართველოში?**

1948 წელს სკოლა დავამთავრე და უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე ჩავაბარე. პირველად ედიშერი ქუჩაში შევამჩნიე, ოპერის წინ მოდიოდა, ყურადღება მივაქციე და მომეწონა. ედიშერს ისეთი გარეგნობა ჰქონდა, შეუძლებელი იყო ვერ შეგემჩნია. მოგვიანებით ჩემი მეგობრის სახლში გავიცანი. ამის შემდეგ ვხვდებით ერთმანეთს. თეატრსა და კინოში დავდიოდით. უამრავ სასიყვარულო წერილს მწერდა.

„ცირა – მიყვარს ისე, როგორც არავინ, როგორც არავინ და მეყვარება მუდამ“ – ამონარიდი ედიშერ ყიფიანის უბის წიგნიკიდან.

**თქვენი სასიყვარულო ისტორია თითქოს რომანის „ცაში ასროლილი ქუდები“ პერსონაჟების ისტორიას ჰგავს ვიცი, რომ თქვენ დღემდე სათუთად ინახავთ მეუღლის წერილებს... რომლებიც ვფიქრობ, ძალიან ჰგავს რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის, გოჩა ხერგიანის მიერ მეუღლისადმი მიწერილ წერილებს...**

რომანში „ცაში ასროლილი ქუდები“ ძალიან ბევრი ეპიზოდი ჩვე-

ნი რეალური ცხოვრებიდანაა აღებული. გოჩა ხერგიანის მიერ ფრონტიდან მაკასადმი მიწერილი წერილები მართლაც ძალიან ჰგავს ედიშერის მიერ ჩემდამი მიწერილ წერილებს. გახსოვთ ეპიზოდი, როცა ნაი და ზაალი ზღვიდან თბილისში ბრუნდებიან? ეს ეპიზოდი ზუსტად ისეა აღწერილი რომანში, როგორც რეალობაში მოხდა. მე და ედიშერი მეგობრებთან ერთად ციხის ძირში, უნივერსიტეტის დასასვენებელ სახლში ვიყავით. ჩემი მეგობარი გოგონა ეროვნებით რუს ბიჭს მოსწონდა. გოგონა კი მისდამი გულგრილი იყო. ის თბილისში, ლამაზი თაიგული შემოაგდო ჩვენ დაბრუნდა. იმ დღეს, მე და ედიშერი თბილისში ვბრუნდებით, ძალიან წვიმდა, ის ბიჭი დაედევნა მატარებელს და ყვავილებს დიდი და ლამაზი თაიგული შემოაგდო ჩვენ ვაკონში. „წყლით გაჟღენთილ მალალ ღეროებზე აფეთქებული მუშხუნებივით ერთი გამაბრუნებელი კამელიები და მაგნოლიები, ვარსკვლავით მოკიფე გეორგინები, თითქოს მოქანდაკის საჭრეთელით ამოქანდაკებულიყო გლადიოლუსები, თეთრი და ნაზი ოლვანდრები. კუპე ერთბაშად პატარა საყვავილებს დაემსგავსა. ფოთოლთა მწვანე ნაგლეჯებით და ყვავილთა ფურცლებით მოიფარა იატაკი...“ მაშინვე მიხვდი, რომ ეს ყვავილები ჩემს მეგობარს ეკუთვნოდა. თბილისში რომ ჩამოვედი, ვნახე ჩემი მეგობარი გოგონა, სახლში წაიყვანე და მისი ყვავილები გადავეცი. ედიშერის წერილები და სხვა მასალები ლიტერატურის მუზეუმის არქივს ჩავაბარე.

**წუთუ, რომანის გმირის, პაატას დაღუპვაც რეალური ცხოვრებიდანაა?**

სამწუხაროდ, „ცაში ასროლილი ქუდები“ რეალურ ამბავზეა აგებული. ჩვენი კორპუსის მოპირდაპირე სახლიდან, მართლაც გადამოვარდა ბავშვი. ედიშერზე საშინლად იმოქმედა ამ ამბავმა. საერთოდ, ედიშერი ვერაფრით ეგუებოდა ვინმეს გარდაცვალებას.



**გურამ გვერდნითელი: „ხალხურმა სიბრძნემ ტყუილად კი არ**



XX საუკუნის პორტრატები

მოიგონა მრავლისმხსნელი სიტყვა „ბედისწერა“. ეს არ აყურებს ტკივილს, უბრალოდ თვითგვემაზე გვაღებინებს ხელს. ედიშერმაც მშვენივრად იცოდა ეს სიტყვა და მისი მნიშვნელობა, მაგრამ გულუბრყვილოდ არა სჯეროდა მისი, როცა საქმე სიკვდილს ეხებოდა. არამცთუ ახლობლის, საერთოდ ადამიანის სიკვდილი მისთვის გაუგებარი და მიუღებელი რამ იყო. ამ დროს მას აშკარად ლალატობდა რეალობის გრძობა. ერთი შეხედვით, შემთხვევით ამბად შეიძლება გვეჩვენოს, რომ თავისი უკანასკნელი ნაწარმოებებიც „ცაში ასროლილი ქუდეები“, მან სწორედ ამდაგვარი პასუხისმგებლობის და მოვალეობის გრძობაზე დაწერა. აქაც ხომ ილუბება ადამიანი და, მწერლის ღრმა რწმენით, ყველამ უნდა იგრძნოს თავი დამნაშავედ.

ედიშერ ყიფიანი ამ ნაწარმოებში გვაფხიზლებს და გვახსენებს ჩვენს უპირველეს მოვალეობას – გავფურთხილდეთ ადამიანებს. რომანს „ცაში ასროლილი ქუდეები“ ერთ უბრალო, მაგრამ მნიშვნელოვან დასკვნამდე მიყვავართ: სხვისი სიკეთის დანახვა და განცდა უკვე კარგია, მაგრამ ეს სულაც არ არის საკმარისი, შენც უნდა სცადო ამაღლდე ამ ადამიანურ ღირსებად.



**ალბათ ბატონ ედიშერსაც ჰქონდა ცხოვრებაში ისეთი მომენტი, როცა სიხარული ცაში ასროლინებდა ქუდს.**

კონკრეტული შემთხვევა არ მახსენდება, მაგრამ ალბათ მუსიკას, კარგ ნაწარმოებს შეეძლო გამოენებოდა მასში ემოცია, უდიდესი სიხარული, რაც მართლაც ასროლინებდა ქუდს მაღლა.

ედიშერი ძალიან ამაყი, ფიცხი და, ამავე დროს, ძალიან სამართლიანი იყო. ვერ იტანდა სიყალბეს და უსამართლობას, არავის არაფერს დაუშავებდა და არც სხვას აპატიებდა შეცდომას. არასოდეს ამბობდა სხვაზე ცუდს. მკითხველს ედიშერის ნაწარმოებებში შეუძლია, ამოიცნოს ავტორის ხასიათი,

იპოვოს პასუხი ყველა შეკითხვაზე.



**გურამ გვერდნითელი:** „ვისაც არ ჰქონია ბედნიერება პირადად სცნობოდა ედიშერ ყიფიანს, თავისუფლად შეუძლია წარმოიდგინოს მისი სული, ხასიათი, მრწამსი მოთხრობების წყალობით, რადგან მწერლის ნატურასა და შემოქმედებას შორის საოცარი მსგავსებაა. მის მოთხრობებში თავად ავტორის ბუნება გამოვლენილი. მისი ბიოგრაფია არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე მისივე შემოქმედება... იშვიათად მეგულება ვინმე უფრო დახვეწილი, ფაქიზი, კეთილი, ჭეშმარიტი ადამიანური ღირსებით შემკული, უფრო რაინდული სულისა და ვაჟკაცური დიდბუნებოვნების, ვიდრე ედიშერ ყიფიანი იყო... ეს იყო იშვიათი მწერალი, ვისაც პატივმოყვარეობის ნატამალი არ გააჩნდა და ვინც სავსე იყო სხვათაძმი პატივისცემის გულწრფელი გრძობით, ვისაც მართლა ახარებდა კოლეგების წარმატება, ახლობლებისაც და შორეულისაც და ვინც ვერ იტანდა სხვათა მიმართ გამყვანებულ ავყოობას, ცინიზმს, ირონიასაც კი. მხოლოდ სხვათა მიერ მონიჭებულ სიხარულზე უყვარდა ლაპარაკი, იმ წიგნებზე, მხატვრულზე თუ მეცნიერულზე, რომელთაც ხარბად ნთქავდა. ედიშერ ყიფიანის სიძინჯე ბევრ უცხოთათვის იქნებ სიზანტედაც ჩანდა. მხოლოდ ახლობლებმა ვიცოდით, რა დაძაბული, სავსე ცხოვრებით ცხოვრობდა. დაფიქრებული სევდიანი ღიმილი მისი პოზა კი არ იყო, არამედ ჩვეული სულიერი მდგომარეობის გამოხატულება, მის ღიმილს სევდასთან ერთად სიმორცხვეც დაჰკრავდა. თითქოს რცხვენოდა იმ სათაყვანებელ სახელს რომ ატარებდა, რასაც მწერალი ჰქვია.“

**როგორ წერდა და როდის, თქვენ იყავით ალბათ მისი ნაწერების პირველი შემფასებელი**

ლამით წერდა, ლამით ცხოვრობდა, ძალიან უყვარდა სიჩუმე. უნდა გამოვტყდე, შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს. მაშინ ისე არ მომწონ-



და ედიშერის ნაწარმოებები, როგორც ახლა. ძალიან მწყდება გული, თითქოს სათანადოდ ვერ ვაფასებდი მის მართლაც არაჩვეულებრივ ნაწერებს. თავად ძალიან მოკრძალებული იყო. მართლაც მისი პირველი შემფასებელი და დამწუნებელი მე ვიყავი (იცინის), ამიტომ სულ შენიშვნებს ვაძლევდი, სულ რაღაცას ვუნუნებდი, განსაკუთრებით არ მომწონდა პერსონაჟების სახელები. მაგრამ შესწორებები არ შემქონდა, ედიშერს თავისი სტილი ჰქონდა. „ცაში ასროლილი ქუდეები“ ახალციხის თეატრში რეჟისორმა ზურაბ კანდელაკმა დადგა. სამწუხაროდ, იმ დროს ედიშერი ცოცხალი აღარ იყო. სპექტაკლი ძალიან მომეწონა. დასანანია, ამ სპექტაკლის ჩანაწერი რომ აღარ არსებობს, ასევე დაიკარგა ედიშერის ხმის ჩანაწერი, სადაც მწერალი მოთხრობას „ხელები“ კითხულობს. დიდი სურვილი მაქვს, ედიშერის ერთადერთი პიესით – „ჯულიეტა აივინს ქვეშ“ ვინმე დაინტერესდეს. ის მაყურებელს კიდევ ერთ მხიარულ, დაუფიქრებელ საღამოს აჩუქებს.

**არაჩვეულებრივი მეგობრები ჰყავდა...**

უამრავი მეგობარი ჰყავდა. სამწუხაროდ, დღეს ბევრი მათგანი ცოცხალი აღარ არის. ძალიან უყვარდა მეგობრები, აფასებდა და პატივს სცემდა მათ. მისმა მეგობარმა ბატონმა გურამ გვერდნითელმა ედიშერს გარდაცვალების შემდეგ, შესანიშნავი წერილი „ჩურჩულით გამხელილი სიყვარული“ უძღვნა, რისთვისაც მას კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდით.

ერთხელ ედიშერს მეგობრისთვის, მწერალ არჩილ სულაკაურისთვის უთქვამს: „როგორც ქართულ ზღაპრებში ვგვხვდებით, ადამიანსაც უნდა ჰქონდეს თავისი მეცხრე კარი. ზღაპრის მთავარი საიდუმლო თუ განძი სწორედ იმ ყველაზე ძნელად შესაღწევ, მეცხრე კარს მიღმა ინახება“. მოგვიანებით ბატონი არჩილი წერდა: „როდესაც ამას მეგობარი, ისიც მწერალი გეუბნება, რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ მას აქვს სულის სიდრემი ცხრაკლიტული, საიდუმლოდ ჩარაზული მეცხრე კარი, რომლის შეხსნა არავის ძალუძს. მოდი, მოვნახოთ იმ ცხრაკლიტულის გასაღები, გავალოთ კარი და შევიხედოთ მისი სულის დარბაზში, ვნახოთ, რა განძს ინახავს იქ ედიშერ ყიფიანი. კარი ღიაა და ჩვენ წინ მარგალიტებით თვალისმოჭრელად ელვარებს კეთილშობილება, პატიოსნება, სინამდობა, მოყვასის სიყვარული, ადამიანისადმი უფაქიზესი დამოკიდებულება, ქვეყნისა და საქმისადმი მოვალეობის განუმეორებელი გრძობა. ის გასაღები, რომელიც ახლა ვახსენებ, ედიშერ ყიფიანის მოთხ-

რობებსა და რომანებში ინახება“.

**რა იყო მისი გარდაცვალების მიზეზი? ხომ არ დარჩა დაუმთავრებელი ნაწარმოები?**

დაუმთავრებელი ნაწარმოები არ დარჩენია, მაგრამ ძალიან ბევრი ჩანაფიქრის განხორციელება არ დასცალდა. ედიშერი 48 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი სიკვდილი მოულოდნელი იყო, ვერაფრით ვეგუები მის გარდაცვალებას. რაღაც წინათგრძობა ჰქონდა. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მითხრა: მე იმდენი გავაკეთე, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ თქვენ არ დაგეჟირებათო. ახალი წლის წინა დღეები იყო, მე და ჩემი გოგონა – ბაიკო ოპერაში წავედით „ქარმენზე“. სახლში რომ დავბრუნდით, ედიშერმა მითხრა: ძალიან მეტკინა გული. სამწუხაროდ, ექიმებმა ვერ შეძლეს მისი გადარჩენა. მისი გარდაცვალების მიზეზი გული იყო, სიყვარულით სავსე გული.



„...ალბათ, მე ვიქნები სხვაზე უფრო დაზარალებული კაცი, რადგან შენ აღარ იქნები ის პირველი მკითხველი, რომელიც ჩემს ანი დაწერილ წიგნს ნაიკითხავს და თავისი ხელით ჩაასწორებს.“

ალბათ, მე ვიქნები სხვაზე უფრო საბრალო კაცი, რადგან ორმოცდახუთი წლისამ სადღა ვეძებო შენისთანა სიყრმის მეგობარი, ღამის მთევარი, მოსაუბრე, განსწავლული, მნიშვნობარი, მისაბაძი კაცი, დამრიგებელი კაცი, ღამაში კაცი, სასიამოვნო კაცი, სუფთა, წმინდა, დახვეწილი, ჭეშმარიტი კაცობის ყალიბში ოქროსაგან უზინჯოდ ჩამოსხმული კაცი სადღა ვეძებო? ყველა ჩვენთაგანის სიკვდილი წარმოუდგინა. ზოგისა თავისი დაუდევრობით, ზოგისა სხვა მიზეზითა და ზოგისა უმიზეზოდ, მაგრამ შენი?

...თავზარი სიტყვა კი არა, ტკივილი ყოფილა აუნერული. ახლა ამას რომ ვწერ, მარცხენა ძუძუსთან მტკივა ზუსტად ისე, როგორც მაშინ, შენ რომ მაღდექი თავზე ავადმოყფხს, ჰოდა, ახლა ვფიქრობ, იქნებ მე ვარ სხვაზე უფრო ბედნიერი კაცი, დაძინებული რომ დაგტოვე და მერე აღარ მინახავხარ, იქნებ მე ვარ სხვაზე ბედნიერი, რადგან მგონია, ისევე დაგირეკავ შენ და ვკითხავ შენს გოგონას:

- ბაო, მამას ძინავს?
- ძინავს, ძია ნოდარ, გავაღვიძო?
- არა, იძინოს, ოღონდ, რომ გაიღვიძებს, უთხარი, დამირეკოს...
- ჰოდა, იქნებ მე ვარ სხვაზე ბედნიერი კაცი, რადგან შემიძლია თავი მოვიტყუო და ასე ველოდო შენს გამოღვიძებას და ზარს, ვიდრე ვცხოვრობ, ჩემი ედიშერ“.

ნოდარ ღუმბაძე

**გურამ გვერდნითელი:** „ლიტერატურული სამყარო, რასაც ედიშერ ყიფიანის შემოქმედება ჰქვია, უკვე დასრულებულია. საუკუნეებმაც კი ვერ გავგინელეს მუხთაღლი ბედისადმი სამდურავი ამ ცხოვრებიდან ადრე წარსულ შემოქმედთა გამო. ედიშერ ყიფიანის ლიტერატურული ცხოვრება სულ 15-იოდე წლით განიზომება. ამიტომაც შედარებით მცირეა მისი შემოქმედებითი ნაყოფი. სწორედ ამიტომაც უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რაც მან შექმნა და დაგვიტოვა... ედიშერ ყიფიანის გულის სითრთ დღესაც გვათბობს „მისი ჩურჩულით გამხელილი სიყვარული“ შთამომავლობას გადაეცემა, რადგან ჭეშმარიტ გრძობას ბედისწერაც კი ვერაფერს დააკლებს.“



**და ყველაფრის მიუხედავად ცხოვრება გრძელდება, გყავთ არაჩვეულებრივი შვილები და შვილიშვილები, გვიამბეთ მათზე.**

უფროსი შვილი ლევანი პროფესიით მათემატიკოსია. ჰყავს ორი შვილი 11 წლის ედიშერ ყიფიანი და 10 წლის ანასტასია. ამჟამად, ლევანი ცოლ-შვილთან ერთად ლონდონში ცხოვრობს. უმცროსი შვილი – ბაო პროფესიით ფილოლოგია. ის სამი შვილის დედაა.

ჩემი შვილიშვილი ედიშერი გარეგნობით ძალიან ჰგავს ბაბუას. როცა ლონდონში მიდიოდა, თან წაიღო ედიშერის მოთხრობები. მასაც უყვარს წერა, ინგლისურად წერს ლექსებს. ვინ იცის, იქნებ ისიც მწერალი ედიშერ ყიფიანი გახდეს.



„...მთელი ცა მოჭედილი იყო მომწვანო, მენამული და ცისფერი ქუდებით. ციმციმებდნენ ქუდები, თითქოს მკრთალად ვარვარებდა ჰაერი. თითქოს რაღაცას ლაპარაკობდნენ ქუდები და ძალიან უნდოდათ, მთელ დედამინას მოესმინა მათი ამბავი, მთელ სამყაროს, თითქოს ჟივოვებდნენ, როგორც ოქროს ჩიტები, ხეზე შემოსხდომის წინ ჰაერში შეჩერებულნი და მოფარფატენ... მაღლა ასროლილი ქუდი ჩუმი შრიალით აფრიალდა, ნავიდა, წავიდა, მისმა სუსტმა ნიავმა ჩამოაღწია სასახლემდე. ლურჯი ქუდი თანდათან მკრთალდებოდა, მაგრამ სინათლე ემატებოდა, ციურ გამჭირვალეობას იძენდა. ბოლოს კომეტასავით გამოაფრქვია შუქი, ცაზე მიმოხნიულ უამრავ ქუდებს შორის მოძებნა თავისი ადგილი და აციმციმდა, თითქოს მაშინვე ალაპარაკდა... ყველა ქუდი როდი ჩერდება ცაზე, ჩერდება მხოლოდ ის, დიდმა ბედნიერებამ მაღლა რომ ასროლინა პატრონს“.

მასა ყიფიანი



მათემატიკა

ბიოლოგია. XII კლასი

სისოცხლის ძირითადი ნიშნები – გამრავლება, ზრდა-განვითარება

ბაკვეთილის თემა: სიცოცხლის ძირითადი ნიშნები (გამრავლება, ზრდა-განვითარება)
ბაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს აღნიშნული პროცესების დახასიათება, იმსჯელოს მათი მნიშვნელობის შესახებ.

გამოყენებული მასალა: თაბახის ფურცლები, დავალების ბარათები, ფოტოები უსქესო და სქესობრივი გამრავლების ამსახველი მაგალითებით, სქემები შეჯამებისთვის.

ბაკვეთილის დრო: 45 წუთი.

ბაკვეთილის მსვლელობა

წინა გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას შევამოწმებ ფრონტალური კითხვების საშუალებით:

- 1. რა პროცესია გამოყოფა?
2. როგორ ხორციელდება გამოყოფა ერთუჯრედიან ცხოველებში?
3. როგორია ხერხემლიანი ცხოველების გამომყოფი სისტემა?
4. რომელი ნივთიერებებისგან თავისუფლდება ორგანიზმი გამოყოფის პროცესში?
5. როგორია ადამიანის გამომყოფი სისტემა?
6. რა მოხდება, თუ თირკმელები ვეღარ შეძლებს ფუნქციონირებას?
7. როგორ თავისუფლდება მცენარე მავნე ნივთიერებებისგან?
8. რა არის გალიზიანებადობა?
9. როგორ რეაგირებენ ამება და ქალამანა მარლიან წყალზე? რატომ?
10. როგორია ჰიდრას პასუხი გამლიზიანებელზე? (მაგალითად, ნემსის ჩხვლეტაზე?)
11. რა ეწოდება ორგანიზმის პასუხს გალიზიანებაზე ნერვული სისტემის მონაწილეობით?
12. დაასახელეთ მწერების რთული ქცევების მიზეზი.
13. რას განაპირობებს ხერხემლიანების რთული ნერვული სისტემა? მოიყვანეთ მაგალითები.
14. როგორია მცენარეთა პასუხი გარემოს სხვადასხვა ფაქტორებზე (სინათლეზე, შეხებაზე, გრავიტაციაზე)? (10 წთ.)

მოსწავლეთა ცოდნას წინასწარ შედგენილი კრიტერიუმებით შევამოწმებ.
დავალების შემოწმების შემდეგ კლასს მივმართავ, რომ დღევანდელი გაკვეთილის თემა გამრავლება და ზრდა-განვითარება იქნება. ბავშვებს ვთხოვ, გაიხსენონ, რა პროცესია გამრავლება, რაში მდგომარეობს მისი არსი და გამრავლების როგორი ფორმები არსებობს.

მოსწავლეთა იტყვიან, რომ გამრავლება ახალი ორგანიზმების წარმოქმნაა და, გამრავლების გარეშე დედამიწაზე სიცოცხლე შეწყდებოდა. არსებობს გამრავლების ორი ფორმა – უსქესო და სქესობრივი. გამრავლების ისეთ ფორმას, რომელშიც მხოლოდ ერთი ორგანიზმი მონაწილეობს, უსქესო გამრავლება ეწოდება, ხოლო სქესობრივი გამრავლებისას ორი ორგანიზმი – მდედრობითი და მამრობითი მონაწილეობს. (1 წთ.)

პასუხების მოსმენის შემდეგ ბავშვებს ვეტიყვი, რომ ზოგიერთ ორგანიზმს პარტენოგენეზის (ქალწულებრივი) გამრავლება ახასიათებს. ამ დროს ჩანასახი გაუნაყოფიერებელი კვერცხუჯრედიდან ვითარდება. მართალია, ამ დროს ახალი ინდივიდის წარმოქმნაში ერთი ორგანიზმი მონაწილეობს, მაგრამ, რადგანაც ჩანასახის განვითარება გამეტადან ხორციელდება, პარტენოგენეზი სქესობრივი გამრავლების ფორმას მიეკუთვნება.

პარტენოგენეზის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ორგანიზმი შესაძლოა ისეთ პირობებშიც გამრავლდეს, როდესაც მდედრს პარტნიორთან კონტაქტი შეზღუდული აქვს. პარტენოგენეზი გვხვდება უხერხემლოებში, ხერხემლიანებში (ძუძუმწოვრების გარდა) მცენარეებში. (2 წთ.)

საუბრის შემდეგ კლასს დავყოფ ჯგუფებად, დავურიგებ დავალების ბარათებს და ფოტოებს, სადაც უსქესო და სქესობრივი გამრავლების მაგალითები იქნება ასახული:

I ჯგუფი – ფოტოები: „ამებას გამრავლება“, „საფუარი სოკოს დაკვირვაება“, „ჰიდრას დაკვირვაება“, „ზღვის ვარსკვლავას რეგენერაცია“.
დავალება: დაახასიათეთ ფოტოზე გამოსახული ორგანიზმის გამრავლების ფორმა. აღწერეთ გამრავლების პროცესი.

II ჯგუფი – ფოტოები: „მეჭეჭები“ გვიმრას ფოტოზე“, „ობის სოკოს სპორები“, „კალანპოეს ფოთოლი“, „კარტოფილის გალივებული გორგლები“.
დავალება: დაახასიათეთ ფოტოზე გამოსახული ორგანიზმის გამრავლების ფორმა. აღწერეთ გამრავლების პროცესი.

III ჯგუფი – ფოტოები: „ბაყაყის ქვირითი“, „თევზის ქვირითი“, „ქათმის ჩანასახი კვერცხში“, „ადამიანის ჩანასახი“. დავალდება: დაახასიათეთ ფოტოზე გამოსახული ორგანიზმის გამრავლების ფორმა. აღწერეთ გამრავლების პროცესი.

დავალება: დაახასიათეთ ფოტოზე გამოსახული ორგანიზმის გამრავლების ფორმა. აღწერეთ გამრავლების პროცესი.

IV ჯგუფი – ფოტოები: „ყვავილის აგებულება“, „დამტვერვა“, „ბუტკოს აგებულება“, „მტვრიანას აგებულება“.
დავალება: როგორ ხორციელდება სქესობრივი გამრავლება მცენარეებში? აღწერეთ ორმაგი განაყოფიერების პროცესი. (8 წთ.)

პრეზენტაციები: (12 წთ.)

პრეზენტაციის მსვლელობისას მოსწავლეთა შემდეგი ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ:
I ჯგუფი: ოთხივე ფოტოზე ორგანიზმთა უსქესო გამრავლების ფორმაა გამოსახული. ერთუჯრედიან ორგანიზმებს, მათ შორის ამებას, ორად გაყოფა ახასიათებს. დედისეული უჯრედი ორად იყოფა და თავის ზუსტ ასლს ქმნის.

საფუარი სოკოს უჯრედს გამოწარმადები – კვირტები – უწოდებენ. კვირტები იზრდება და დამოუკიდებელ ორგანიზმად ყალიბდება.

ჰიდრაც დაკვირვებით მრავლდება. მის სხეულზე ჯერ პატარა გამოწარმადი ჩნდება, რომელიც შემდგომში იზრდება, იკეთებს საცეცხებს, ბოლოს სცილდება დედისეულ ორგანიზმს და დამოუკიდებლად იწყებს არსებობას.

უსქესო გამრავლების ერთ-ერთი ფორმაა ფრაგმენტაცია, ანუ ორგანიზმის რამდენიმე ნაწილად დაყოფის შემდეგ, მათგან ახალი ორგანიზმები ვითარდებიან. გამრავლების ასეთი ხერხი ისეთ ორგანიზმებს ახასიათებთ, რომელთაც რეგენერაციის უნარი გააჩნიათ. ასეთია ზღვის ვარსკვლავა. ცხოველს მოტეხილი სხივის ნაცვლად მალე ახალი ამოსდის, ხოლო სხივიდან ასევე დამოუკიდებელი ორგანიზმი ვითარდება.

II ჯგუფი: ფოტოებზე უსქესო გამრავლების ფორმებია ასახული: ხავსები, გვიმრები და სოკოები სპეციალიზებულ უჯრედებს – სპორებს წარმოქმნიან. სპორა მტკიცე გარსითაა დაცული. ხელსაყრელ პირობებში სპორა იწყებს დაყოფას და ახალი ორგანიზმი წარმოიქმნება.

რაც შეეხება „კალანპოეს ფოთოლს“ და „კარტოფილის გალივებულ გორგლებს“ – ეს მცენარეთა ვეგეტატიური გამრავლების მაგალითებია. გამრავლების აღნიშნული ხერხი მცენარის ვეგეტატიური ორგანოებით (ფოთოლი, ყლორტი, ფესვი) ხორციელდება. კალანპოეს ფოთოლზე პატარა მცენარეები ვითარდება, ისინი მიწაზე ცვივიან და აგრძელებენ დამოუკიდებელ არსებობას. კარტოფილის გორგლი მიწისქვეშა ყლორტია. თითოეულ კვირტიდან ახალი ორგანიზმი ვითარდება.

ვეგეტატიური გზით მიღებული მცენარეები ზუსტად დედისეული მცენარის თვისებებით ხასიათდებიან, რაც ფართოდ გამოიყენება სოფლის მეურნეობაში.

III ჯგუფი: მოსწავლეთა უნდა აღნიშნონ, რომ ორგანიზმთა უმრავლესობას სქესობრივი გამრავლება ახასიათებს. ამ დროს ახალი ორგანიზმი ზიგოტადან – განაყოფიერებული კვერცხუჯრედიდან ვითარდება. არსებობს შინაგანი და გარეგანი განაყოფიერება. წყალში მცხოვრები ორგანიზმების უმრავლესობას გარეგანი განაყოფიერება ახასიათებს (თევზებს, ამფიბიებს). მდედრი წყალში ყრის ქვირითს, ხოლო მამრი გამოყოფს სპერმატოზოიდების შემცველ სითხეს.

ხმელეთის ორგანიზმებისთვის შინაგანი განაყოფიერებაა დამახასიათებელი. მწერები, თევზები, ამფიბიები, ფრინველები, ქვეწარმავლები – კვერცხის დებით მრავლდებიან. მათი კვერცხუჯრედი საკვებ ნივთიერებებს – ყვითრს შეიცავს, რომლის ხარჯზეც, ვითარდება ჩანასახი.

ადამიანი და ძუძუმწოვართა უმრავლესობა ცოცხალმშობიარეა. მათი ჩანასახი საშვილოსნოში ვითარდება. საშვილოსნოს ლორწოვანი გარსიდან და სისხლძარღვებიდან პლაცენტა ყალიბდება, რომელიც ჩანასახს ჭიპლარით უკავშირდება. ჭიპლარის მეშვეობით ხორციელდება ჩანასახის კვება, სუნთქვა, მავნე ნივთიერებებისგან გათავისუფლება.

IV ჯგუფი: ყვავილი მცენარის სქესობრივად გამრავლების ორგანოა. მისი ძირითადი ნაწილებია ბუტკო და მტვრიანები. ბუტკოს შიგნით თესლკვირტია მოთავსებული, ხოლო მტვრიანა სპერმიტს – მამრობით გამეტებს შეიცავს. დამტვერვის შემდეგ, მტვრის მარცვალი ბუტკოში ჩაიზრდება, სპერმიტებიდან ერთი კვერცხუჯრედს შეერწყმება და ზიგოტა წარმოიქმნება, ხოლო მეორე – ცენტრალურ უჯრედს. ზიგოტადან ჩანასახი ვითარდება, ცენტრალური უჯრედიდან კი – ენდოსპერმი (საკვები ნივთიერებები). თესლკვირტი თესლად გადაიქცევა და ნაყოფით დაიფარება. ყვავილოვან მცენარეთა ასეთ პროცესს ორმაგი განაყოფიერება ეწოდება.

პრეზენტაციების შემდეგ მოსწავლეთს ვთხოვ, გაიხსენონ, როგორ ვითარდება სხვადასხვა ორგანიზმი განაყოფიერების შემდგომ. მაგალითისთვის შევთავაზებ თევზის, ბაყაყის, კალიას, ფუტკრის, მერცხლის და ადამიანის განვითარებას. (6 წთ.)

ვისაუბრებთ იმის შესახებ, რომ განაყოფიერების შემდგომ ზიგოტა იწყებს დაყოფას, ვითარდება ჩანასახი. პერიოდს ზიგოტადან ორგანიზმის გამოჩენამდე ან დაბადებამდე ემბრიონული პერიოდი ეწოდება, ხოლო დაბადების ან გამოჩენის შემდეგ იწყება პოსტემბრიონული განვითარების პერიოდი.

პოსტემბრიონული განვითარება შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი, არაპირდაპირი, თავის მხრივ, შესაძლოა იყოს სრული და არასრული.



პირდაპირი განვითარების დროს დაბადებული ან გამოჩენილი ინდივიდი აგებულია მშობლის მსგავსად და მათგან ძირითადად ზომით და ორგანოების განვითარების დონით განსხვავდება (ადამიანი, კალია, მერცხალი, თევზი).

არაპირდაპირი განვითარებისას კვერცხიდან ლარვა იჩეკება, რომელიც არ ჰგავს მშობლიურ ინდივიდს. მას ლარვული ორგანოები გააჩნია, რომლებიც თანდათან უქრება და იგი ზრდასრულ ორგანიზმს ემსგავსება.

არსებობს განვითარების (მეტამორფოზის) ორი ტიპი – არასრული და სრული.

მეტამორფოზი არასრულია, როდესაც ცხოველი შემდეგ ფაზებს გაივლის: კვერცხი – ლარვა – ზრდასრული ორგანიზმი. მეტამორფოზი სრულია, თუ იგი ოთხ ფაზად მიმდინარეობს: კვერცხი – ლარვა (მატლი) – ჭუპრი – ზრდასრული მწერი.

გაკვეთილის შეჯამების მიზნით მოსწავლეთს დავურიგებ წინასწარ მომზადებულ სქემებს, რომელიც მათ ინდივიდუალურად უნდა შეავსონ:



(6 წთ.)

გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეთს ვთხოვ, სახლში მოამზადონ გაკვეთილზე განხილული თემები. ასევე, მოიძიონ ინფორმაცია ხავსების, გვიმრების, შიშველთესლოვნებისა და ფარულთესლოვნების განვითარების შესახებ.

ნატა პიჭიკაშვილი
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
ბაქსულის საერთაშორისო სკოლა

საუბრაბი ბიბლიაზე

აბრაამი



რობრიკას უძღვება მამა თამარძიშვილი

ქვეყნის სხვადასხვა მხარეს გაფანტულმა ხალხმა მალევე დაივიწყა ქვემარტივი ღმერთი. კვლავ ცოდვიანობამ მოიცვა სამყარო, ღმერთი კერპებმა ჩაანაცვლეს: ცის მანათობლები, ცხოველები, ცეცხლი - ეს თავყვანისცემის საგნების არასრული ჩამონათვალა. სახლებსა თუ საგანგებოდ აგებულ ტაძრებში მათ ემსახურებოდნენ, მსხვერპლს სწირავდნენ, ადივებდნენ. მალე თითქმის მთელი ხალხი კერპთაყვანისმცემელი გახდა. მხოლოდ ერთი კაცი, სემის მოდგმისა, სახელად აბრაამი იყო კეთილმორწმუნე. ნოეს ვაჟის, სემის მოდგმა კაცობრიობის ის შტოა, საიდანაც არა ერთი პატრიარქი, ღვთის მორწმუნე და რჩეული, გზის გამკაფავი და წინამძღოლი იშვა. აქედან არის წარმოშობილი ბიბლიის ავტორების უშუალო წინაპარი აბრაამიც.

აბრაამი იწყება ღმერთის შეხვედრები პატრიარქებთან - ისაკთან, იაკობთან, მოსესთან. შეხვედრებს ძირითადად საუბრის სახე აქვთ. მათში უფალი წინასწარ მიუთითებს იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც მომავალში უნდა მოხდეს. თანადგომას ღმერთი ყოველთვის ნათლად გამოხატავს. განსაკუთრებით გამოარჩევს გამოსხნისა და მადლის თემებს. აბრაამთან დადებული ალთქმაც ამ საკითხებს ეხება და წმინდა წერილის უმნიშვნელოვანეს ხაზად გასდევს.

ღმერთმა აბრაამი ამოირჩია ქვემარტივი სარწმუნოების დასაცავად და შთამომავლებისთვის გადასაცემად, რადგან ის შეურყეველი რწმუნითა და კეთილმსახურებით ყველასგან გამოირჩეოდა. აბრაამი იყო ძე თერახისა, ქალდეველთა ურის მკვიდრისა. „უთხრა უფალმა აბრაამს: წაიღე შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გიჩვენებ. გაგცევ დიდ ხალხსა და კურთხეულ და განვადებ შენს სახელს და კურთხეული იქნები. ვაკურთხებ შენს მაკურთხებელს და დაეწყველი შენს მანკეჯარს; კურთხეული იქნება შენი მიწიერთა მთელი მოდგმა“ (დაბ. 12:1-3). ღვთის მონოდებას აბრაამი თავის გულით ისმენდა და მიჰყვებოდა. მას უნდა გამოეცვალა სამშობლო და მოექცნა ახალი ქვეყანა, რომელიც მისი შთამომავლების სამშობლო გახდებოდა. ბოლო ფრაზით კი ღმერთმა მიანიშნა აბრაამს, რომ მისი ტომისაგან წარმოიშობა მხსნელი სოფლისა - მაცხოვარი.

პასუხად აბრაამმა სრული მორჩილება გამოავლინა. როგორც წმინდა იოანე ოქრობერი მრძანებს, მან უყოყმანოდ დატოვა მამისული სახლი, ნათესავები და მოპოვებული მდგომარეობა. მთვარის თაყვანისმცემელ თერახთან და ოჯახობასთან (ცოლი სარა, ძმისწული ლოთი) მოსამსახურენი და საქონელი ერთად დატოვა ური, მთვარის ღვთაების შუამდინარული ქალაქი და დაემკვიდრა ხარანში. ხარან აქედურ ენაზე ნიშნავს „გზას“. თერახისათვის, აბრაამის მამისათვის ეს ადგილი ცხოვრების გზის დასასრული გახდა, ხოლო აბრაამისათვის კი ახალი, უფლის გზის დასაწყისად იქცა. თერახის გარდაცვალების შემდეგ აბრაამის ოჯახობამ და ლოთმა გზა განაგრძეს. აბრაამისათვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, სად უნდა წასულიყო და მიუხედავად ამისა, ისევე როგორც ნოე, აბრაამიც სრულიად მიენდო უფალს.

გავიდნენ მდინარე ეფრატის მიდამოებში და მივიდნენ იმ ადგილას,



„ხოლო მელქიდეცემა, შალემის მეფემ, გამოუტანა პური და ღვინო.“

სადაც ქანანელი, ანუ ქამის ჩამომავლები ცხოვრობდნენ. ქვეყანა იგი იყო ფრიად ნაყოფიერი, ხოლო ხალხი ზნედაცემული და ურწმუნო. აქ, მალე მუხასთან, აბრაამს მეორედ გამოეცხადა ღმერთი და ალუთქვა „შენი მოდგმისათვის მიმიცია ეს ქვეყანა. იქ აუგო სამსხვერპლო უფალს, რომელიც გამოეცხადა მას“ (დაბ. 12:7) და შესწირა მსხვერპლი. ღმერთთან ამ უმნიშვნელოვანესი შეხვედრის შემდეგ ქანაანის ქვეყანას ალქმული მიწა დაერქვა. ა. ლაპუხინი წერს: ამ თავში იწყება ღვთის რჩეული ებრაელი ერის ისტორია. მეორე მხრივ, წმინდა წერილის ამ მუხლის შემდეგ ჩვენ უკვე კაცობრიობის გადარჩენისათვის აქტიურად მომქმედ ღმერთს ვხედავთ.

ქანანიდან აბრაამი აღმოსავლეთისაკენ წავიდა და მივიდა ბეთელს. იქ გაიკეთა კარავი, აღაშენა მეორე სამსხვერპლო და შესწირა ღმერთს მსხვერპლი. ბეთელიდან წავიდა და დაბინავდა მახლობელ უდაბნოში, მაგრამ რადგანაც იქ შიმშილობა დაიწყო, გადასახლდა ეგვიპტეში და მიმპილობის შემდეგ ეგვიპტიდან ისევ ქანაანში დაბრუნდა და დაბინავდა ბეთელის მახლობლად. აბრაამის ნიშანი უსამშობლოობაა: ის მწირობდა იმ მიწაზე, რომელიც მისი შორეული შთამომავლების სამშობლო უნდა გამხდარიყო.

როდესაც აბრაამისა და ლოთის საქონელი იმდენად გამრავლდა, რომ მათი მწყემსები ერთ საძოვარზე ვეღარ ეტეოდნენ, აბრაამმა უთხრა ლოთს: „ნუ იქნება ცილობა ჩვენში, ჩემსა და შენს მწყემსებს შორის, რადგან სახლიკაცები ვართ. განა შენს წინ არ არის მთელი ქვეყანა? გამოყარე და თუ შენ მარცხნივ წახვალ, მე მარჯვნივ წავალ, თუ მარჯვნივ წახვალ, მე მარცხნივ წავალ“ (დაბ. 13:8-9). ლოთი ირჩევს თავის, აბრაამისაგან განსხვავებულ გზას, თუმცა ზუსტად იცის და არაერთგზის ყოფილა აბრაამის მიმართ ღვთის კეთილმოსურნეობის მოწმე. „გახივდა ლოტმა და დაინახა, რომ იორდანეს მთელი მხარე ცოლარამდე ირწყებოდა, ასე იყო, ვიდრე უფალი არ გაანადგურებდა სოდომსა და გომორს... აირჩია ლოტმა იორდანეს მთელი მხარე. დაიძრა ლოტი აღმოსავლეთისაკენ და გაეყარნენ ერთმანეთს“ (დაბ. 13:10-11). ლოთმა არ ილოცა, არ შესთხოვა უფალს დახმარებოდა გზის არჩევაში, არ დაელოდა უფლისგან რაიმე ნიშანს. უღვთოდ, თავად გააკეთა თავისი არჩევანი და

ეს მისი ცხოვრების გზის არჩევანი იყო. დამკვიდრდა სოდომში - იმ მხარის ერთ-ერთ ყველაზე ცოდვიან ქალაქში და თავად მოისურვა თავისივე სიტყვით მოექცია ქვემარტივებისაკენ სოდომისა და გომორის ცოდვილი მოსახლეობა. თუმცა, საამისოდ ღვთისაგან სახსვერპლო უფალს, რომელიც ღვთისმორწმუნე ადამიანი იყო და ღვთისაკენ მოუწოდებდა ადამიანებს. თუმცა, გადმოცემიდან ვგებულობთ, რომ ის არა ღვთის, არამედ თავისი სახელის ქადაგებდა და არ ითვალისწინებდა ღვთის ნებას.

ლოთის არჩევანის შემდეგ აბრაამი საცხოვრებლად ქანაანის მიწაზე დარჩა. „უთხრა უფალმა აბრაამს მას შემდეგ, რაც ლოთი გაეყარა: აახილე თვლი და გაიხედე ამ ადგილიდან, სადაც შენ დგახარ, ჩრდილოეთისკენ, სამხრეთისკენ, აღმოსავლეთისკენ და დასავლეთისკენ. მთელი ეს ქვეყანა, რასაც ხედავ, შენთვისა და შენი მოდგმისათვის მომიცია სამარადისოდ. ქვიშასავით ურიცხვს ვაგვხდ შენს შთამომავლებს; თუ ვინმე შეძლებს ქვიშის დათვლას, შენი შთამომავლობა დაითვლებ“ (დაბ. 13:14-16). სხვაგან უფალი ეუბნება აბრაამს: „ახსივდე ეს და დაითვალე ვარსკვლავები, თუ შეგიძლია მათი დათვლა. მერე უთხრა: ამდენი იქნება შენი შთამომავლობა“ (დაბ. 15:5). აბრაამის მოდგმა ერთ შემთხვევაში ქვიშას, ხოლო სხვა შემთხვევაში ვარსკვლავებს ედრება. თეოლოგთა განმარტებით, ასეთ შედარებას მნიშვნელოვანი ქვეტექსტი აქვს: იმ შემთხვევაში, თუ აბრაამის შთამომავლობა ღვთის მცნებებს მიჰყვება და ქვემარტ გზაზე ივლის, ცაში ვარსკვლავებს დაედარება, ბნელს განათებს და ქვეყნის განმანათლებლის მისია დაეცხრება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაივიწყებს უფლის გზასა და სწავლებას, მიწას დაემგვანება, მტლად იქცევა და გათელავს და გადაუფლის მას ყოველი.

აბრაამი მაშინვე მუხასთან, ქებრონში დასახლდა. იქვე გაშალა თავისი კარავი და მსხვერპლიც შესწირა უფალს.

სოდომის მახლობლად, სადაც ლოთი სახლობდა, გაშენებული იყო ქალაქები: გომორი, სეგორი და სხვანი. ეს ადგილები დაიპყრო ელამის მეფემ და მისმა მოკავშირე მეფეებმა. სოდომ-გომორელები და მათი მეზობლები 12 წელიწადს ემორჩილებოდნენ ელამის მეფეს, ხოლო მეცამეტე წელიწადს განდგნენ. მეთოთხმეტე წე-

ლიწადს მოვიდა ელამის მეფე მოკავშირე მეფეებთან ერთად, თავს დაესხა ურს ქალაქებს და გაიმართა ომი. ელამის მეფემ სძლია მათ, დაამარცხა მონინაალმდევენი, ბევრი სიმდიდრე წაიღო და დიდძალი ტყვე წაიყვანა. ტყვეთა რიცხვში მოყვა ლოთიც თავისი ოჯახობით. „როდესაც შეიტყო აბრაამმა, რომ მისი სახლიკაცი ლოტი დატყვევებნათ, აღჭურვა თავის სახლში დაბადებული სამას თვრამეტი გამოცდილი კაცი და სდია დანამდე“ (დაბ. 14:14). დამე დაესხა მას თავს, დაამარცხა იგი, წაართვა ყოველივე, რაც კი წაეღო და სხვა ტყვეებთან ერთად ლოთიც გაათავისუფლა. შინ მობრუნებულს სალომის მეფე მელქიდეცე შემოეგება. მელქიდეცეს შესახებ მოციქული პავლე ამბობს: „უშამო, უდედო, ნათესავ მოუხსენებელი არის სემი, ნოეს ვაჟი: ის დასახლდა იერუსალიმში. თავისი შთამომავლის - აბრაამის მსგავსად ადივებდა და ემსახურებოდა ქვემარტივ ღმერთს. მან მოართვა აბრაამს პური და ღვინო და აკურთხა იგი: „ხოლო მელქიდეცემა, შალემის მეფემ, გამოუტანა პური და ღვინო. ის იყო უზენაესი ღმერთის მღვდელი. აკურთხა აბრაამი და უთხრა: კურთხეულ იყოს აბრაამი უზენაესი ღმერთის ნინაშე, ცისა და მიწის შემოქმდისა!“ (დაბ. 14:18-19). აბრაამმა მისცა მას ათისთავი ყველაფრისა, რაც კი წაართვა ელამის მეფეს. გავრცელებულია მოსაზრება, რომ მელქიდეცე იყო ქრისტეს მოასწავებელი.

კურთხევისთანავე ერთად ღმერთი აბრაამს განსაცდელსაც უგზავნის. ტყვეობიდან დაბრუნებულმა სოდომის მეფემ შეაძლია აბრაამს ყოველი ქონება და სანაცვლოდ მხოლოდ ქვემარტივთა განთავისუფლება სთხოვა. აბრაამი კეთილმორწმუნე, მართალი სულის სიმბოლოა, ამავე დროს, ის კურთხევას ღებულობს „უზენაესი ღმერთის მღვდლისაგან“. ამიტომაც ეძღვნება, რომელიც მას სოდომის მეფის ნინადადების სახით მოველინა, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. ბოროტი განსაცდელი ადებს აბრაამს - სიხარბის, სიმდიდრის, სარგებლის სიყვარულს სთავაზობს, მაგრამ აბრაამმა არა მიიღო რა. მისი მიზანი არა გამდიდრება, არამედ ტყვე-

ბის განთავისუფლება იყო. მას არ სურდა სოდომის მეფეს ეთქვა: „მე გავამდიდრე აბრაამი“. აბრაამმა არც ის ხალხი დათმო, ვინც ურიცხვ მტერზე მისი სასწაულებრივი გამარჯვება იხილა და მისი ქადაგების ძალით ქვემარტივი ღმერთი იწამა.

„ამ ამბების შემდეგ უფლის სიტყვა გამოეცხადა ხილვაში აბრაამს: ნუ გეშინია, აბრაამ! მე ვარ ფარი შენი! დიდზე დიდი იქნება შენი ჯილდო“ (დაბ. 15:1). ანუგემა იგი უფალმა და ჯილდოს დაპირდა, რადგან კიდევ უფრო განმტკიცებულიყო აბრაამის რწმენა, ჯილდოდ კი უშვილო აბრაამისათვის ყველაზე სასურველი შთამომავლის გაჩენა უნდა ყოფილიყო. „მხოლოდ შენი ნიალიდან გამოსული იქნება შენი მემკვიდრე“ - ანუგეშებს მას უფალი. „გარეთ გაიყვანა და უთხრა: ახსივდე ეს და დაითვალე ვარსკვლავები, თუ შეგიძლია მათი დათვლა. მერე უთხრა: ამდენი იქნება შენი შთამომავლობა. ერწმუნა უფალს, ხოლო მან სინდრეულში ჩაუთვალა“ (დაბ. 15:5-6).

ურყევი იყო აბრაამის რწმენა. ისინი, ვისაც შინაგანად სწამთ უფლისა, სვერათ მისი მცნებებისა, მაგრამ ვერ ან არ ასრულებენ მათ, ბიბლიის თანახმად, „მკედარი რწმენით“ არიან, ხოლო აბრაამს, ყოველი მორწმუნის მამას ცოცხალი, ქმედითი, ნამდვილი რწმენა ჰქონდა. ის ერწმუნა უფალს, დაიჯერა მისი, მაგრამ ნიშანი სთხოვა, რათა გაეგო როდის დასახლებოდა მისი მოდგმა და შთამომავლობა ალთქმულ მიწაზე. მამინ უფალმა დაავალა: „მომიყვანე სამი წლის ხბო, სამი წლის თხა, სამი წლის ცხვარი, გვრიტი და მტრედის ხუნდი. აილო ეს ყველაფერი, შუაზე დახლირა და ერთმანეთს მიუწერ ნახლჩეზები, ოღონდ ფრინველები არ დაუხლირა“ (დაბ. 15:9-10).

ძველად ადამიანებს შორის ალთქმის დადებას შინაური ცხოველის შუაზე გაკვეთით ადასტურებდნენ. ცხოველის ერთ ნაწილს მარჯვნივ, ხოლო მეორეს მარცხნივ დებდნენ, თვითონ მათ შუა უნდა გაეყოლოთ. ეს ნიშნავდა: როგორც ეს ორი ნაწილი შეადგენს ერთი მთლიანს, ისე ჩვენ, სადაც არ უნდა ვიმყოფებოდეთ, ერთნი ვართ.

აბრაამმა მართლაც მოიყვანა სამი სამწლიანი ცხოველი: ხბო, თხა და ცხვარი, გაკვეთა ისინი, ხოლო გვრიტი და მტრედი არ გაჭრა. ბიბლიის მიხედვით, მტრედის ხუნდი სული წმინდის სიმბოლოა, გვრიტი - ღმერთის რჩეულ ხალხს ნიშნავს. ამ ფრინველების ერთობა კი უფლისა და მისი რჩეული ხალხის კავშირს უნდა წმინდადეს. „დაცხრნენ სვაგები მძორებს, მაგრამ მოუგერიან ისინი აბრაამს“ (დაბ. 15:11). აბრაამმა ლოცვით განდევნა სვაგები, ანუ ბოროტი, ეშმაკისული ძალა, რომელსაც ხელი უნდა შეეშალა ამ კავშირისათვის. მზის ჩასვლისას ძილქუმი შეეყარა აბრაამს და დიდმა შიმშილს და წყვდიადმა მოიცვა იგი. სწორედ ამ დროს მოსიწინა და იხილა მან ღვთის განაჩენი თავისი მონაგარისთვის. ეს განაჩენი საოცრად ემთხვევა ებრაელი ხალხის ისტორიას: „იცოდე, მდგმურად იქნება შენი შთამომავლობა სხვის ქვეყანაში; დამორჩილებული და დაჩაგრული ეყოლებათ ოთხას წელს. იმ ხალხს კი, ვისი მორჩილიც შეიქმნებინა, მე განვსჯი; შემდგომ ამისა დიდძალი ქონებით გამოვლენ უკან“ (დაბ. 15:13-14). მართლაც, „გამოსვლის წიგნის“ თანახმად, ებრაელების გამოსვლა ეგვიპტის მიწიდან აღნიშნულ პერიოდს ემთხვევა. უფალმა აიძულა ეგვიპტელები დიდძალი ქონება მიეცათ ებრაელებისათვის, როგორც მონური შრომის ერთგვარი გამოსასყიდი. „მზე რომ ჩავიდა და სიბნელე ჩამოწვა, აჰა, აკვამლებული თონე, და ცეცხლის ალმა გაიარა ნახლჩეზებს შორის“ (დაბ. 15:17). და ეს იყო არა მხოლოდ ეგვიპტელთა მონების უღელქვემ არსებობა, არამედ ებრაელთა ისტორია მომდევნო საუკუნეების მანძილზე: მათი გაფანტვა მთელ დედამიწაზე, შუა საუკუნეების ინკვიზიციის სისასტიკე, ფაშისმის საზარელი განაჩენი და დრო იერუსალიმის გარშემო განახლებულ სახელმწიფოს შექმნისა.

არჩეული ღირსეულობა

# მას სკოლა საკუთარ თავზე მიტანდა უყვარს

სამტრედიის №4 საჯარო სკოლა იშვიათი ისტორიის მქონეა. თავისი მდებარეობის გამო მავანთა სამიზნედ მრავალჯერ ქვეულა, მაგრამ ღვთის წყალობით გადარჩენილია მედროვეთა შემოტევებს. ყოფნა-არყოფნის ზღვართან მდგარ პედაგოგებს, რომლებსაც ცალკე შენობის წართმევით, ცალკე გათავისუფლებით ემუქრებოდნენ, მოველინა განსაკუთრებული პედაგოგიური ნიჭითა და ხელმძღვანელობის უნარით დაჯილდოებული დირექტორი, ქალბატონი **ნინო მიქელაძე**.

სამტრედიის, ვერავის დააჯერებდით, რომ №4 საჯარო სკოლა არსებობას გააგრძელებდა, გაბზარული კოლექტივი ერთ მუშტად შეიკრებოდა. სკოლის აღდგენა-განახლებაზე კი ოცნებაც შეუძლებელი იყო. სკოლის ახლად არჩეულმა დირექტორმა ყველას გასაოცრად, ეს შეძლო. წინა თაობის მიერ შენარჩუნებული ფუძე და სკოლის ორივე სექტორი (რუსული და ქართული) გააერთიანა. ყველა მასწავლებელს საკუთარი ადგილი მიუჩინა. გეზი თანამედროვე სტანდარტებსა და მოთხოვნებზე აიღო და სკოლა განათლების სისტემის რეფორმაში ჩართო.

ქალბატონ ნინოს ძალისხმევით სრულად განახლდა სკოლის შენობა. მთლიანად შეიცვალა მისი ხედი, ეზო შეივსო ნარგავებით, გარემონტდა საკლასო ოთახები, აღიჭურვა ახალი ინვენტარით და ტექნიკით, შეივსო ბიბლიოთეკა, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეებს წარმატებების მიღწევამ და რაც ყველაზე მთავარია, სკოლაში თანდათან გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა. გაჩნდა პარალელური ჯგუფები. მრავალ გამოწვევათა ფონზე დაგროვდა წარმატებები. ახალმა და

კარგად ორგანიზებულმა სასწავლო პროცესმა ბევრი ნიჭიერი მოსწავლე წარმოაჩინა. ნინო მიქელაძისთვის უპირველეს მოთხოვნად ხარისხზე ორიენტირებული, ჯანსაღი სასწავლო პროცესი და ჰარმონიული ურთიერთობები იქცა. №4 საჯარო სკოლის დირექტორის მოკრძალებული ბიოგრაფია მხოლოდ მასწავლებლისა და ხელმძღვანელის კარიერით არ შემოიფარგლება. ქალბატონი ნინო შემთხვევით არ მოსულა სასკოლო ცხოვრებაში. პროფესიის არჩევა გენეტიკის წყალობით უფრო მოხდა, ვიდრე ძალდატანებით. ფილოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრებამ განაპირობა მისი სასკოლო კარიერა. 1984 წლიდან დღემდე მხოლოდ სასკოლო თანამდებობებზეა. სადაც კი იმუშავა, ყველგან თავისი კვალი დატოვა, რადგან სკოლა საკუთარ თავზე მიტანდა უყვარს. ქალბატონი ნინო გამორჩეულად შრომისმოყვარე ადამიანია. არასდროს კმაყოფილება საკუთარი და მით უმეტეს მოსწავლეთა მიღწევებითა და წარმატებებით, პოზიტიურ გარემოს უქმნის პედაგოგებსა და მოსწავლეებს.

№4 საჯარო სკოლას ჰყავს სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში (თითქმის უმრავლეს სექციაში) პირველი ხარისხის დიპლომანი და 2009-2010 სასწავლო წელს მოსწავლეთა ეროვნულ ოლიმპიადებზე გამარჯვებული მოსწავლეები.

ქალბატონ ნინო მიქელაძის ინიციატივით, დასავლეთ საქართველოში პირველად, მხოლოდ სამტრედიის №4 საჯარო სკოლაში განთავსდა ჩეხური ორგანიზაცია – „სამტრედიის განვითარების ასოციაცია“, რომლის მეშვეობით ხორციელდება სხვადასხვა ახალგაზრ-



ული პროექტები. ამ ორგანიზაციამ შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდები და სასკოლო ცხოვრებაზე უფრო საინტერესო გახდა.

ყველაზე მთავარი პროექტი კი ჩვენი სკოლისთვის არის „დემოკრატია იწყება შენით“. ამ პროექტში მოხვედრა უდავოდ სკოლის დირექტორის დამსახურებაა. პროექტი ითვალისწინებს სამხრეთ კავკასიის რეგიონებისა და უმცირესობებით დასახლებულ რაიონებ-

ში ახალგაზრდობის სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესებას.

ეს უზარმაზარი ევროპოპროექტია, რომლითაც №4 საჯარო სკოლა დიდ გამოცდილებას შეიძენს.

**თამარ რაზმაძე**  
სამტრედიის №4 საჯარო სკოლის პედაგოგი

## ინფორმაცია

### მოგზაურობა სიკეთის საფაროში

აფრიკის ერთ-ერთი სახელმწიფოს მეფემ დილით ცუდ ხასიათზე გაიღვიძა, მოიხმო ვეზირთუხუცესი და ეკითხება: გუშინ შევნიშნე, რომ ჩემს წალკოტში ნაფერები სიკეთის ხე გახმა, წადი, მოიარე ქვეყანა და მოაგროვე სიკეთე, თორემ ზურმუხტისფერი ხე ჭკნება, ბოროტება ცდილობს დაისადგუროს დედამიწაზე.

ასე იწყება ზღაპარი „მოგზაურობა სიკეთის სამყაროში“, რომელიც წარმოადგინეს თბილისის 94-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო „სათნოების“ აღსაზრდელებთან ერთად, 15 ნოემბერს, თბილისის 77-ე საჯარო სკოლაში, „სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში „საქართველოს კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნება“.

ლონისძიებისთვის მზადება დიდი ხნის წინ დაიწყო – შევარჩიეთ პატარა მსახიობები, მოცეკვავეები, ჩავრთეთ მშობლები.

15 ნოემბერს დილიდანვე ყველა ლელავდა. პატარა მოცეკვავეები (**ანი ესაკია**, **გიორგი ასანიძე**) უკვე მერამდენედ იმეორებდნენ ცეკვის ილეთებს.

ზღაპრის დაწყებისთანავე მთხრობელმა (**ანი ლევდაშვილი**) მიიქცია დარბაზის ყურადღება. მეფის (**ირაკლი ერგემიძე**) გამოსვლამ ინტერესი გაუღვიძა მაყურებელს, ხოლო

ვეზირის (**ლუკა ყანდორელაშვილი**) შეხვედრამ აზერბაიჯანელებთან (**სალომე იაკობიძე**, **მარიამ მახარაძე**), ბერძენთან (**მიხეილ ანანოვი** – „სათნოება“), სომეხთან (**ხვიჩა გოგილაშვილი** – „სათნოება“), ბოშებთან (**ნათია ტალიანი**, **ანა აბრამიშვილი** – „სათნოება“), ქურთთან (**მარიამ ნიკლაური**) და ებრაელთან (**გიორგი ფოცხვერაშვილი**) კიდევ ერთხელ დააჩვენა საზოგადოება, რომ ძმობა და სიყვარული, სიხარული და სიყვარულის ცრემლები, ტანჯვისა და შრომის ოფლი, ფსოუს წყალი, ქსნის ხეობის ცვარ-ნამი და ნამებულთა ძვლები – ეს ყველაფერი საქართველოა, ფესვძლიერი სიკეთის ხე. ზღაპრის ბოლოს გამხმარი სიკეთის ხე შეიფოთლა. აზერბაიჯანელმა ხეს სიკეთეში დაღვრილი ოფლის წვეთები დააკურა, ბერძენმა – სამშობლოს მონატრების ცრემლები, ქურთმა – თბილისის მოსახლეთა ფეხის მტვერი, სომეხმა – სევანის ტბის წყალი და არარატის მთის ნაჟური, ბოშებმა – ირმის ტბის წყალი და გარეჯელის ცრემლები, ებრაელმა – განშორების ტკივილის ცრემლი.

ზღაპრის ბოლოს მეფის ბრძანებით ფერხული ჩააბეს და მრავალუმიერი იმღერეს.

**ირმა ჯანიაშვილი**  
თბილისის 94-ე საჯარო სკოლის კოორდინატორი



### გია ყანჩელის საიუბილეო საღამო დედოფლისწყაროში

გვიანი შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს, დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაციის (საპატიო თავმჯდომარე – **ვანო ნატროშვილი**) ინიციატივით, რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (დირექტორი – **ლია ზაიდოშვილი**) გაიმართა ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის დაბადების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელზეც სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად საგანგებოდ იყვინენ მოპატიუბულნი სოფელ საბათლოს საჯარო სკოლის სომხური სექტორის უფროსკლასელები პედაგოგების **აიდა აბაზიანის** და **ნაირუ ჩოკუშიანის** ხელმძღვანელობით.


მუზეუმში ჟღერდა გია ყანჩელის მუსიკა. ყველაფერი საკმაოდ პოპულურად დაიწყო. გია ყანჩელის საიუბილეო საღამო გახსნილად გამოაცხადა მნიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარემ, საღამოს პროექტის ავტორმა, რაიონის კოლორიტულმა პიროვნებამ, ღირსების ორდენის კავალერმა **ნანა ჭიჭინაძემ**. კომპოზიტორის ბიოგრაფიისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ ვრცლად ისაუბრა მნიგნობართა ასოციაციის წევრმა, მუსიკათმცოდნე **თამილა ნადირაშვილმა**, ხოლო ამავე ასოციაციის წევრმა, ღირსების ორდენოსანმა **ლალი მანგოშვილმა** დამსწრე საზოგადოებას სხვადასხვა გაზეთებში გამოქვეყნებული კორესპონდენციები გააცნო გია ყანჩელის შესახებ. ნაჩვენები იქნა კომპაქტდისკი – გია ყანჩელის „მუსიკა კინოსა და თეატრისათვის“ ნატო მეტონიძის, ნიკა მემანაშვილის და დავით დოიაშვილის მონაწილეობით. საიუბილეო საღამოს დასრულების შემდეგ ემოციას ვერ მალავდნენ მონაწილეები.

**სუსანა ჩოკუშიანი**, სოფელ საბათლოს VIII კლასის (სომხური სექტორის) მოსწავლე: „ულრმესი მადლობა მინდა გადავუხადო პროექტის ავტორს, ქალბატონ ნანა ჭიჭინაძეს ამ საიუბილეო საღამოზე სპეციალური მონაწილეობისთვის. ეს დღე თითოეული ჩვენგანისათვის მნიშვნელოვანია, ბევრი საინტერესო რამ გავიგეთ გია ყანჩელის შესახებ, თუნდაც ის, რომ ქართული ფილმის „როცა აყვავდა ნუში“ კომპოზიტორი ყოფილა. კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა ამ ლონისძიების ორგანიზატორს“.

საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ზაზა ფირისმანაშვილი**, საკრებულოსა და გამგეობის თანამშრომლები.

საღამოს მონაწილეებს სამახსოვროდ გადაეცათ გია ყანჩელის საიუბილეო ბუკლეტები.

**მარიკა პოპიაშვილი**



ინფორმაცია

ტოლერანტობის დღე სკოლა „დეასი“



1995 წლის 16 ნოემბერს, პარიზში, იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე, მისმა 185-მა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა „ტოლერანტობის პრინციპების დეკლარაცია“.

დიციულად ცნობილია თავისი ტოლერანტული განწყობით. ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 2010 წლის 16 ნოემბერს, მრავალპროფილიანი საერთო სკოლა „დეასი“, ისტორია-სამოქალაქო განათლების მასწავლებლის ეკა ჭოველიძის ინიციატივით, ჩატარდა ტოლერანტობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის მიზანაც იყო მოსწავლეებს გაეცნობიერებინათ ტოლერანტობის ანუ შემწყნარებლობის მნიშვნელობა და დანიშნულება, მისი მოქმედების შედეგები საზოგადოების

ცნობიერებაზე. ამ პროცესში ჩართულნი იყვნენ X კლასის მოსწავლეები: ანა ზაალიშვილი, სალომე ჩიკვილაძე და ნატა მარგინი. ისინი ღონისძიების წარმართველ ძალას წარმოადგენდნენ. უფროსკლასელებმა, რომლებიც უკვე ფლობდნენ ინფორმაციას და ცოდნას აღნიშნულ საკითხზე, ურთიერთსწავლების პრინციპით თავადვე აუხსნეს უმცროსებს ტოლერანტობის არსი და მნიშვნელობა. ეს პროცესი მათ შეგრძნებებზე გადიოდა და ინფორმაციულ დატვირთვას უფრო ღირებულს და ფასულს ხდიდა. ამავე

დღეს სკოლაში გაიმართა უფროსკლასელთა პროექტის პრეზენტაცია „საქართველო და ტოლერანტული გარემო“. პროექტის ფარგლებში ისტორიის მასწავლებლის ეკა ჭოველიძის და ფსიქოლოგ ნათია ბურდულის დახმარებით მოსწავლეებმა შეძლეს აქტიურად ემსჯელათ, გაეცნობიერებინათ და გამოეტანათ ლოგიკური დასკვნები აღნიშნულ საკითხზე. ისტორიის „გავლენითა და ზემოქმედებით“ საქართველოსა და მის შვილთათვის ტოლერანტობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულება

იყო, რაც თითოეულმა მოქალაქემ ბავშვობიდანვე უნდა გააცნობიეროს. ამიტომ სკოლას ამ კუთხით მნიშვნელოვანი ფუნქცია და მისია აკისრია. იგი „თესავს და აღვივებს“ მოზარდებში ტოლერანტულ შეგნებასა და ცნობიერებას. შედეგები უკვე საზოგადოების „სიჯანსაღეში“ ირეკლება ან არეკლება.

ანა მურაჩაშვილი

მრავალპროფილიანი საერთო სკოლა „დეასი“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გავაზში ახლად აშენებული სკოლა გახსნეს. სკოლის ძველი შენობის ავარიული მდგომარეობის გამო, აუცილებელი გახდა ახალი შენობის აშენება. მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, 2008 წელს, ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყო და 2010 წლის სექტემბერში დასრულდა. ახალი შენობა სრულად შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს, სკოლაში ამჟამად 404 მოსწავლე სწავლობს. სკოლის საქმიანობა საკმაოდ წარმატებულია - 2003 წლიდან, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დახმარებით, დაძმობილებულია კალიფორნიის შტატის სოფელ ესპარტოს სკოლასთან. პროექტის ფარგლებში, განხორციელდა არაერთი გაცვლითი პროგრამა. სოფელ გავაზის სკოლას ხშირად სტუმრობენ კალიფორნიის შტატის მოსწავლეები და მასწავლებლები. ამავე პროექტის ფარგლებში, 2 ურსდაამთავრებული 1 წლით გაემგზავრა აშშ-ში სასწავლებლად. 2007 წლიდან სკოლა ქაიროს ამერიკული კოლეჯის პარტნიორია. გავაზელი მოსწავლეები, პროგრამის ფარგლებში, ხშირად მიემგზავრებიან ეგვიპტეში.



უცხოელი სტუმარი მონაწილეობდა. სამი დღის განმავლობაში ქართველი გეოლოგები ბოლო წლებში მოპოვებულ სამეცნიერო შედეგებს წარმოადგენდნენ და უცხოელი კოლეგების მიერ კავკასიის სხვადასხვა პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით უახლეს სამეცნიერო მონაცემებს გაეცნენ. დაგეგმილია გეოლოგიური ექსკურსია გუდაურის მიმართულეობით.

ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის სულხან სისაურის განცხადებით, მსგავსი კონფერენციები ხელს უწყობს როგორც პრობლემატური საკითხების განხილვა-განალიზებას, ასევე ურთიერთობების გარღმავებას ქართველ და უცხოელ მეცნიერებს შორის.

ალ. ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერები, ბოლო 5 წლის განმავლობაში, ფონდის 10 და 19 საერთაშორისო პროექტში მონაწილეობდნენ.



სკოლას ჰყავს ორი ინგლისურენოვანი პედაგოგი და მოსწავლეთა უმრავლესობა კარგად ფლობს ინგლისურ ენას. საქართველოს პრეზიდენტმა წარჩინებული მოსწავლეები - ვალერი გიორგაშვილი და გვანცა ზაკალაშვილი პორტატული კომპიუტერებით დააჯილდოვა.

ქართველი და უცხოელი მეცნიერები კავკასიის გეოლოგიის პრობლემებსა და რეგიონის კვლევის სტრატეგიის განსაზღვრაზე მსჯელობენ. ალ. ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო გრანტის ფარგლებში დაფინანსდა და მასში ქართველ მეცნიერებთან ერთად 20-ზე მეტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა საატესტატო გამოცდის ახალი მოდელი ამჯერად ვაკე-საბურთალოს რაიონის სკოლების 200-მდე მეთორმეტეკლასელს გააცნეს და საატესტატო გამოცდებთან დაკავშირებით მოსწავლეთა შეკითხვებს უპასუხეს.

2010-2011 სასწავლო წლის საატესტატო გამოცდებთან დაკავშირებით მიზნობრივად ინფორმაციებმა მოსწავლეთა დიდი დაინტერესება გამოიწვია და როგორც მათ აღნიშნეს, წარმოდგენილი ელექტრონული საგამოცდო ტესტის ნიმუში მათთვის ადვილად გასაგები და დასაძლევია აღმოჩნდა.

მინისტრმა მოსწავლეებთან შეხვედრისას ხაზი გაუსვა აბიტურის საათის მნიშვნელობასაც და აღნიშნა, ვინაიდან კომპიუტერის მეშვეობით საატესტატო გამოცდები წელს პირველად ჩატარდება, იგი გაცილებით მარტივი იქნება მომდევნო წლებთან შედარებით. თუ მოსწავლეები მაქსიმალურად გამოიყენებენ დარჩენილ პერიოდს გამოცდებისთვის მოსამზადებლად, ადვილად გადალახავენ კონკრეტული საგ-

ნისათვის დადგენილ კომპეტენციის მინიმალურ ზღვარს. შედეგი შესაძლებლობების სკალის კონკრეტული ნიშნულით გამოისახება და არა ნიშნით. კომპიუტერული პროგრამის შეფასება არ აისახება მოსწავლის წლიურ ნიშანზე, იგი უცვლელი დარჩება.

დიმიტრი შაშკინის განცხადებით, საატესტატო გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაციული შეხვედრები მეთორმეტეკლასელებთან მომავალშიც გაიმართება, მოსწავლეები ნებისმიერ კითხვაზე მიიღებენ ამომწურავ პასუხებს, რაც მათ გამოცდებისთვის მზადების პროცესში დაეხმარებათ.

3 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ირინე ქურდაძემ, ხელოვნების აკადემიის რექტორმა ვალერიან შიუკაშვილმა, 31-ე სკოლის დირექტორმა მარინა ნიჟარაძემ და დიდუბე-ჩუღურეთის მასშორიტრმა დეპუტატმა ანდრო ალავეიძემ ერთობლივი პრეს-კონფერენცია გამართეს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ინტეგრაციაზე წლების



განმავლობაში მუშაობს. მათი ჩართულობა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურობა სამინისტროს მთავარ მიზანს წარმოადგენს.

შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი, ხელოვნების აკადემიის სტიპენდიანტებთან ერთად, მარჯანიშვილის თეატრში საქველმოქმედო კონცერტს გამართავს. ისინი თანადგომას გამოხატავენ იმ ბავშვებისადმი, ვისაც დახმარება სჭირდებათ.

აქციაში მონაწილეობას მიიღებენ ასევე „ავერსი“ და „ბარამბო“. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 100 ბავშვს მემდიკამენტებსა და ტექნიკულს გადასცემენ.

პროექტი საქართველოს განათლების სამინისტროსა და ქალაქის მერიის პატრონაჟით განხორციელდება.

# ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახლად მოწყობილ მინი-ფეხბურთის მოედანზე, რომელიც თბილისის მერიის ძალისხმევით მოეწყო და შემდეგ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, კეთილმოაწყო – გაუკეთა ტრიბუნები, აშენდა გასახდელები თავისი სველი ნერტილებით, მინი-ფეხბურთის მოედნის გახსნასთან და უნივერსიტეტის დაარსების 80 წლისთავთან დაკავშირებით, სპორტისა და ხელოვნების ცენტრის თაოსნობით, ჩატარდა სამედიცინო უნივერსიტეტის ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში სტუდენტებს შორის, რომელიც 8-18 ნოემბერს მიმდინარეობდა. მონაწილეობდა 22 გუნდი, თითქმის 250-მდე სტუდენტი. კენჭისყრის შედეგად გუნდები 4 ჯგუფში გადანაწილდა.

III ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ „ექსტაზი“ და „ეკიმები“. მატჩი „ეკიმების“ გამარჯვებით 5:4 დამთავრდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გუნდები „მერცხალი“ და „ზევისა“. ძირითადი დრო ფრედ 5:5 დამთავრდა, პენალტების სერიით გამარჯვდა „ზევისა“.

ჩემპიონატზე დაწესებული იყო პრიზები: საუკეთესო მოთამაშისათვის – მედიცინის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი გიორგი გოგიძე; საუკეთესო მეკარის – მედიცინის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი გიორგი ლოლუა. ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირად დასახელდა ფიზიკური მედი-

ცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ბაჩი ჩიჩუა. დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობდნენ: თსუ-ს რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, კანცლერი, პრორექტორები, დეკანები და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები.

სამედიცინო უნივერსიტეტის მინი-ფეხბურთის ჩემპიონატის შედეგად შეირჩნენ საუკეთესო ფეხბურთელები ნაკრები გუნდისთვის, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ფუტზალის ჩემპიონატში, რომელსაც საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია კომპანია „რომპეტროლ-საქართველოსთან“ და ფუტზალის ასოციაციასთან ერთად ატარებს.

◆◆◆  
ნოემბერში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, სასწავლებლის შიდა პირველობა ჩატარდა მინი-ფეხბურთში, რომელიც შაბათს „ქარიშხალში“ გამართული ფინალით დასრულდა. ტურნირმა სტუდენტთა დიდი ინტერესი გამოიწვია და გათამაშებაში უნივერსიტეტის 20 გუნდი ჩაება, მონაწილეთა რაოდენობა კი 200-ს აღწევდა. გუნდები 4 ქვეჯგუფში გადანაწილდნენ, თითოში 5-5 მონაწილე, ნახევარფინალში კი ორ-ორი საუკეთესო გავიდა.



ყველაზე უფრო ყოჩაღი სტუდენტები ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტს აღმოაჩნდა და ფინალშიც მათი გუნდები ვიხილეთ – 191-ე და 192-ე ჯგუფების. შეხვედრა დაძაბული და აზარტული კი აღმოჩნდა, როგორც ახალგაზრდების ტურნირებს შეუფერის ხოლმე, მაგრამ 191-ე ჯგუფელები ბევრად უფრო გააზრებულად და ტექნიკურად თამაშობდნენ. შეხვედრაც მათი დიდი უპირატესობით წარიმართა და სოლიდური სხვაობითაც იმარჯვეს – 9:3. მეტოქემ ბევრად ცოტა ბურთი კი გაიტანა, მაგრამ, სამაგიეროდ, მათ ყოველ გოლს ორმაგი ოვაცია მოსდევდა. ტურნირზე დაწესებული იყო ინდივიდუალური პრიზებიც – ბომბარდირი გამარჯვებულთა გოლეადორი ვახტანგ ჩიქოვანი გახდა, საუკეთესო მეკარედ კი 192-ე ჯგუფელი გიორგი ტოკლიკიშვილი დაასახელეს.

ჩემპიონატის შედეგებით შეირჩა უნივერსიტეტის ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სტუდენტურ უნივერსიადში.

**მხატვარ ბაბანიძე**  
ტურნირის მთავარი მსაჯი,  
სპორტისა და ხელოვნების  
ცენტრის თანამშრომელი,  
უნივერსიტეტის ფეხბურთის ნაკრები გუნდის მწვრთნელი

◆◆◆  
ნიჭიერმა ახალგაზრდა ჩოგბურთელმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** სეზონი მესამე ტიტულით ჩაამთავრა. წლეულს მან ერთეულებში ხარკოვში გაიმარჯვა, ამის შემდეგ კი – წყვილებში სტამბოლში. რიგით მესამე ტიტულიც წყვილებში მოიპოვა პოლონურ ოპოლში, 25-ათასიან ტურნირზე. იქ ჩვენებური კვლავაც თავის ძველ მეწყვილესთან, ბელორუს **პოლინა პეხოვასთან** ერთად გამოვიდა და ფინალში მასპინძელთა წყვილს 6:3; 6:4 მოუგეს.

სამაგიეროდ, კალაშნიკოვა ოპოლში წარუმატებლად გამოვიდა ერთეულთა ტურნირში – მეოთხედფინალში კი გავიდა, მაგრამ იქ თავისივე მეგობართან, უკრაინელ **ტატიანა არეფიევასთან** ნააგო. კალაშნიკოვა უფრო წყვილების მოთამაშეა და რეიტინგშიც აქა დაწინაურებული – 161-ეა, ერთეულებში კი 198-ე პოზიციაზეა. პოლონეთში გამარჯვების შემდეგ ის წყვილთა რეიტინგში დიდ ნახტომს გააკეთებს.

◆◆◆  
ორი ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდა – **დუდა სანაძე** და

**აკაკი დვალისვილი** ამ სეზონის წინ კანარის კუნძულების საკალათბურთო აკადემიაში ჩაირიცხნენ. მათ საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში ბევრი უთამაშიათ და გვარიანი გამოცდილებაც დააგროვეს. ესპანელებმაც ამ თამაშებში შეამჩნიეს და აკადემიაშიც მიიწვიეს.

მიზეზთა გამო, სანაძე კუნძულზე დვალისვილზე მთელი თვით ადრე ჩავიდა და სათამაშო ლიცენზიაც მიიღო, დვალისვილი კი ჯერაც ელოდება. თუმცა, როგორც თავად სპორტსმენი ამბობს, ეს დროის საკითხია. პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ მანამდე ჩვენებური განაცხადში ვერ შეჰყავთ და ოფიციალურ შეხვედრებში ვერც გუნდთან ერთად თამაშობს.

სამაგიეროდ, ეს პრობლემა არ აწუხებს და კლუბის ერთ-ერთ ლიდერად იქცა სანაძე, რომელმაც იქ ერთი ტურნირის მოგებაც მოასწრო. ის შეჯიბრება კუნძულების დედაქალაქ ტენერიფეში ჩატარდა ოთხი გუნდის მონაწილეობით და „აკადემია“ ჩემპიონი გახდა. სანაძემ ნახევარფინალში 18 ქულა ჩააგდო, ფინალში – 26.

ამ ტურნირის შემდეგ „აკადემია“ კანარების ჩემპიონატში ჩა-

ერთო. იქ წარმატების შემთხვევაში, ესპანეთის პირველობის ლიცენზიას მიიღებს. დღეისათვის გამართულია 5 ტური, სადაც „აკადემიამ“ 4 მოიგო. მათ მხოლოდ ბოლო შეხვედრა ნააგეს გათამაშების ლიდერ „სანტა ბრიჯიდასთან“ 11-ქულიანი სხვაობით, სანაძემ კი 17 ქულა ჩააგდო. საერთოდ, ჩვენებური გამოიჩინა შედეგანობით – პირველ შეხვედრაში 16 ქულა, მომდევნოებში, შესაბამისად, 18, 33 და 24. როგორც ვხედავთ, მისთვის საუკეთესო მესამე შეხვედრა იყო, რომელშიც 33 ქულა აიღო. აღსანიშნავია, რომ იმ შეხვედრაში მან 7 სამქულიანი ჩააგდო. არადა, ამ კომპონენტში რამდენად გვიჭირს ეროვნულ ნაკრებში, ახლახანს დამთავრებულ საერთაშორისო შესარჩევ ციკლშიც კარგად გამოჩნდა. ამ კომპონენტში მისი გამორჩევა ამიტომ გაგვიხარდა.

წარმატების მიუხედავად, სავარაუდოდ, დუდა სანაძე მალე საქართველოში დაბრუნდება. მას ესპანეთის ვიზა უმთავრდება, გაგრძელება კი ვერ მოხერხდა და იძულებულია, დეკემბერში სამშობლოში დაბრუნდეს. აქ მას უკვე აქვს შეთავაზება სუპერლიგის რამდენიმე გუნდისგან.

**ირაკლი თაყაძე**

**ახალი ტანათლება**  
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტატილაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.  
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba  
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაცია ხელმოწერისთვის: 76096  
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.  
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის რეკვიზიტები: საპარტეპლო სახელი  
ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000